ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ჰეკდტქნბ
* კფჰბ
@@სტ,ტჰდკბლფყ




gfhfcrtdb7 @ vfhnb7 @)!@ 152 (5752) afcb5 #) stshb

# სააკაშვილს არც პრემიერობა უნდა და არც — პარლამენტის თავმჯდომარეობა

ის ნაციონალების უფროსის რანგში დარჩება პოლიტიკაში



გვ.6

## რატომ უნდა დაისაჯონ სააკაშვილი-თარგამაძე-ალასანია



გვ.3



პოლიტიკური საჩუქრების დარიგების კონკრეტული ფაქტები

## მიხეილ ალექსიძე 77-ე სკოლაში ჩაირიცხა

გვ.5



გვ.4

## ინგა გრიგოლია: მოვითხოვ, პრეზიდენტს ნარკოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდეს“

პენტაგონი სააკაშვილს ურჩევს, არმია ხალხთან არ დააპირისპიროს



გვ.4

## ეკა ბესელია: ვერც კი წარმოიდგენთ, ნაციონალებს ისეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი“

## საქართველოში ჯერ საქართველოს მოქალაქეები დაასაქმეთ!

გვ.2



ახალგაზრდა ნაციონალები“ აქციას გამართავენ გვ.3



## სოსო ცისკარიშვილი: სააკაშვილს რუსეთის მოსახლეობის გულის მოგება სურს“

გვ.2





გვ.5 ვის ჩასვამს სიაში დავით გამყრელიძე

ISSN 1987-9385

3 დემოკრატიული მოძრაობა“ რომელიმე კოალიციაში გაწევრიანებას არ აპირებს

5 მიხეილ სააკაშვილი: უმუშევრობა პრაქტიკულად აღარ იქნება“

6 გიორგი ტუღუში: ქიმერიძე არ გახლდათ ბრალდებული“

10 ევროკავშირი საქართველოს 18 მილიონ ევროს გამოუყოფს

კეჰ]ბ ოზსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# სოსო ცისკარიშვილი: სააკაშვილს რუსეთის მოსახლეობის გულის მოგება სურს“

თეა მარხვაიძე



სოსო ცისკარიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას რუსეთის მოყვარულებს დიდი საჩუქარი გაუკეთა. პრეზიდენტი რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა. პრეზიდენტის თქმით, საქართველოში ჩამოსვლა შეუძლია რუსეთის ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც თავისუფალია კორუფციისაგან, ძალადობისაგან, ადამიანის ღირსების შელახვისა და ბიუროკრატიული წნეხისგან.**

— მჭიდრო კავშირს ვკრავთ დასავლეთთან, მაგრამ, ამავე დროს, ვართ დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებით. ჩვენ ვიცით, რომ ეს მარტივი არ არის, მაგრამ რუსეთი არის და ყოველთვის იქნება საქართველოს მეზობელი, რაც განაპირობებს ჩვენს წადილს, დავამყაროთ რუსეთთან მშვიდობა, ოღონდ ეს მშვიდობა უნდა იყოს რუსეთთან, რომელიც აღიარებს და ემორჩილება სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ყველა სამართლებრივ ნორმას, — განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ საქართველო ღიაა ეკონომიკური ურთიერთობისთვის მეზობელ ქვეყანასთან. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს არასდროს დაუკეტავს საზღვარი რუსი ტურისტებისა და ბიზნესისთვის, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა, უფრო დიდი შანსი მისცეს მშვიდობას, რაც ცალმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმებით გამოიხატება.

— დაე, ყველა რუსმა ბიზნესმენმა იცოდეს, რომ საქართველო ისეთივე მიმზიდველი საინვესტიციო ქვეყანაა მისთვის, როგორიც ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის, კორუფციის, უკანონობისა და ბიუროკრატიული წნეხისაგან თავისუფალი. დაე, იცოდნენ რუსმა ტურისტებმა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩამოსვლა საქართველოში და აქ მათ ქართველებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით დახვდება ყველა; იცოდნენ, რომ მათ აქ არავინ დაუშლის მონატრებული ქართული ღვინისა და ბორჯომის დალევას, — განაცხადა პრეზიდენტმა.

რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება რომელიმე ოპოზიციონერს რომ მოეთხოვა, მას სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადებდნენ. სააკაშვილს კი ამას ვინ შეჰკადრებს.

რას ემსახურება სინამდვილეში სააკაშვილის ინიციატივა, რატომ არ უნდა გაეკეთებინათ კომენტარები რუს ჩინოსნებს, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი ესაუბრება.

სოსო ცისკარიშვილი:

— მიხეილ სააკაშვილი ერთადერთი ადამიანია საქართველოში, რომელსაც მოღალატედ არ შერაცხავენ, თუკი ის რუსეთთან სავიზო რეჟიმს გააუქმებს. მან ეს განსაკუთრებული სტატუსი გამოიყენა და სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გამოცხადების ინიციატივით გამოვიდა. მისი აზრით, ამის შემდეგ საქართველოში ჩამოვლენ რუსი ბიზნესმენები და ტურისტები. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პრეზიდენტს ჰგონია, ვიზა ბიზნესის ერთადერთი შემაკავებელია, რაც ასე ნამდვილად არ არის. მიხეილ სააკაშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებული განცხადება ემოციური ხასიათისაა. ასეთი განცხადებები მას ადრეც ხშირად გაუკეთებია.

***— პრეზიდენტის ემოციური განცხადებები ხშირად გარკვეულ მიზანს ემსახურება. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება მისი ეს ინიციატივა?***

— მისი ეს განცხადება დასავლეთში მყოფი მიამიტი მეგობრებისადმია მიმართული და არა რუსული ბიზნესისადმი. როგორც უკვე ვთქვი, ვიზა ბიზნესის ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორი არ არის. სავიზო რეჟიმის არსებობის შემთხვევაშიც ახერხებდნენ რუსი ბიზნესმენები საქართველოში შემოსვლას. აქ თუ ინვესტიციების შემოდინება სურს ხელისუფლებას, მაშინ დემოკრატიის მაღალ ხარისხზე უნდა იზრუნოს. დასავლეთსაც დემოკრატიის ხარისხის გაზრდა უფრო მოეწონება, ვიდრე ასეთი მიამიტური ინიციატივები. სააკაშვილს სურს, რომ რუსეთის მოსახლეობის გული მოიგოს და ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლავთ იმისა, რომ ის სავიზო რეჟიმის გაუქმების ინიციატივით გამოვიდა.

***— რუსეთის ხელისუფლების რეაქციაზე რას იტყვით? მათ სააკაშვილის ინიციატივა იაფფასიან პიარაქციად მონათლეს.***

— არის ასეთი ქართული ანდაზა: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ სააკაშვილის ამ ინიციატივას რუსეთის ხელისუფლება დუმილით შეხვდებოდა. ისინი კი პირიქით მოიქცნენ, ჩაერთვნენ კომენტარის რეჟიმში. ნებისმიერი მათი კომენტარი ერთი რამის მიმანიშნებელია. ისინი ცდილობენ ყურადღების გადატანას. რუსეთში ბევრი გადაუჭრელი შიდა პრობლემა არსებობს. ამას ვერ ახერხებენ და ცდილობენ, სხვა რამეზე გადაიტანონ ყურადღება. ისინი აკეთებენ განცხადებებს, მაგრამ ვერ აუქმებენ საქართველოსთან სავიზო რეჟიმს. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სავიზო რეჟიმი რუსეთმა საქართველოს ჯერ კიდევ მაშინ დაუწესა, როცა საქართველო დსთ-ის წევრი იყო. ასე რომ, მათი მხრიდან კომენტარები უადგილოა.

# საქართველოში ჯერ საქართველოს მოქალაქეები დაასაქმეთ!

## რატომ აქვს ჩინელ მუშას 70 ლარი ხელფასი, ქართველს კი — 23

თეა მარხვაიძე

**საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც იქნა, აღიარა, რომ ქვეყანაში უმუშევრობა მძვინვარებს. ქვეყნის პირველმა პირმა პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხალხს სამუშაო და, შესაბამისად, შემოსავალი ჰქონდეს. პრეზიდენტი უმუშევრებს ჰპირდება, რომ ისინი ხელისუფლების ძალისხმევას ძალიან მალე იგრძნობენ.**



საქართველოში ძალიან ბევრი რამ შენდება. წესით და რიგით, ხალხი, ასე თუ ისე, უნდა ახერხებდეს სამუშაოს შოვნას. უნდა ახერხებდნენ, მაგრამ ვერ ახერხებენ, იმიტომ რომ მათ ადგილს სხვა ქვეყნის მოქალაქეები იკავებენ. საქართველოს მოქალაქეები კი სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ გარბიან.

შეუძლებელია, ეს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნდეს. მათ ამის შესახებ ძალიან კარგად იციან, მაგრამ ხმას არ იღებენ.

უმუშევართა კავშირი ამასთან დაკავშირებით ხმაურიანი აქციების მოწყობას აპირებს. ასეთი ხმაურიანი აქცია მათ ცოტა ხნის წინ იუსტიციის სახლთანაც გამართეს, სადაც ჩინელი მუშები არიან დასაქმებული.

მათი მოღვაწეობის შესახებ „ახალი თაობა“ უკვე წერდა. უმუშევართა კავშირმა ფოტოებიც მოგვაწოდა, სადაც ნათლად ჩანს, როგორ ცხოვრობენ ჩინელი მუშები სარდაფში. უმუშევართა კავშირის მტკიცებით, ისინი პატიმრები არიან და სამშობლოდან საქართველოში ჩამოიყვანეს სამუშაოდ, აქ სასჯელსაც მოიხდიან და პურის ფულსაც იშოვიან.

საქართველოს მოქალაქეები კი საზღვარგარეთ გარბიან ლუკმაპურის საშოვნელად, სადაც ბევრი ჩვენი თანამემამულე გაურკვეველ ვითარებაში იღუპება. ერთ-ერთი დაღუპულის მამა გუშინ უმუშევართა კავშირის პრესკონფერენციაზე იყო მისული. მან თან შემზარავი ფოტოები მოიტანა.

— საქართველოში ათასობით უცხოელი ჩამოდის სამუშაოდ. მაშინ როცა ჩვენს ხალხს სამუშაო არა აქვს. ჩვენ შეგვატყობინეს 26 წლის ბიჭის შემზარავი ისტორია, რომელიც გერმანიაში წავიდა სამუშაოდ და იქ დაიღუპა. ამ ბიჭს სხეულის ნაწილები ამოცლილი აქვს. სავარაუდოდ, მისი ორგანოები გაყიდეს, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ყოფილმა დეპუტატმა ალეკო შალამბერიძემ.

მისი თქმით, ამ თემაზე ახლო მომავალში საგანგებო პრესკონფერენცია გაიმართება. უმუშევართა კავშირი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება ამ თემით მაინც დაინტერესდება და, რაც მთავარია, დაფიქრდება.

როგორც უმუშევართა კავშირის წარმომადგენლებმა ბრიფინგზე განაცხადეს, საქართველოს მოქალაქეების ტოტალური უმუშევრობის ფონზე, სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებსა და საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეები მუშაობენ.

— ქუთაისში პარლამენტის მშენებლობაზე ესპანელები ჰყავთ ჩამოყვანილი. იქ ქართველებიც მუშაობენ, მაგრამ — ბევრად ნაკლები ანაზღაურებით, ვიდრე ესპანელები. რუსთავის მეტალურგიული ქარხანაში ძირითადად ინდოელები მუშაობენ, — აცხადებენ კავშირში.

თბილისში მოგეხსენებათ, რომ შემოვლითი რკინიგზა შენდება. სადაც ცოტა მუშახელი ნამდვილად არ არის საჭირო. წესით, ამ ობიექტზე საქართველოს ბევრი მოქალაქე უნდა დასაქმებულიყო, მაგრამ არა — აქ პრიორიტეტი ისევ ჩინელ მუშებს მიანიჭეს.

უმუშევართა კავშირი ხელისუფლებას საქართველოს მოქალაქეების დისკრიმინაციაში ადანაშაულებს. ბრიფინგზე წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა სამშენებლო ობიექტი (მთელი რიგი ობიექტების ფოტო მასალა), სადაც დასაქმებულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები.

თბილისის შემოვლითი რკინიგზა.

აშენებს კომპანია „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მუდმივ მოქმედი ფილიალი“. ინჟინრები და მუშათა კონტინგენტი ჩინეთის მოქალაქეები (საქართველოს მოქალაქეები დასაქმებულია 17 კაცი, შავ მუშად) კომპანიის ხელმძღვანელი ტიან ბაო ხოა, მობ. 592 92 30 77, ოფისი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ამ მშენებლობის ტენდერი მოიგო კომპანია „ხიდმშენმა“ და მათ შემოიყვანეს ჩინური კომპანია. „ხიდმშენის“ ოფისში არავითარ კომენტარს არ აკეთებენ და კითხვებზე არ პასუხობენ. მშენებლობის პერიოდში ორჯერ ჩამოინგრა გვირაბი არაკვალიფიციური საინჟინრო პერსონალის გამო.

იმ მცირეოდენ ქართველებს, რომლებიც მშენებლობაზე მუშაობენ 24-საათიან რეჟიმში, ყოველგვარი ცვლის გარეშე, არა აქვთ დასვენების დღე. არავითარი კონტრაქტი მათ არ გააჩნიათ, არანაირი სანიტარიული ნორმები არ არის დაცული. მათი ანაზღაურება დღეში 23 ლარს შეადგენს.

სულ ქართველები არიან 10%, დანარჩენი — ჩინელები.

ირღვევა ყველა უფლება (8-საათიანი სამუშაო დღე, დასვენების დღე, შრომის უსაფრთხოება).

„იუსტიციის სახლი“ თბილისში.

„იუსტიციის სახლს“ აშენებს ჩინური კომპანია „ხუან ჩუან ლიმიტედ კომპანი“, მშენებლობის დირექტორი ხუა იუ, 150 ჩინელი არის დასაქმებული (შავი მუშები) და კიდევ დამატებით ჩამოვა ამდენივე. რეესტრში არანაირი ინფორმაცია ამ მშენებლობაზე არ არსებობს, არ არსებობს ინფორმაცია, რა გზით მოიპოვა აღნიშნულმა კომპანიამ მშენებლობის უფლება. დასაქმებულთა ანაზღაურება დღეში 70 ლარია.

მუშები ცხოვრობენ მიმდებარე ტერიტორიაზე ამორტიზებულ ყოფილ რესტორან „მერცხლის“ სარდაფში, სძინავთ ორსართულიან ნარებზე.

— არ შეიძლება, საქართველოში საქართველოს მოქალაქეები უმუშევრები იყვნენ, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულები კი მუშაობენ. ეს ძალიან დიდი უსამართლობაა, — განაცხადა შალამბერიძემ.

ახლო მომავალში უმუშევართა კავშირი საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავს, სადაც კიდევ ერთხელ გააპროტესტებენ სხვა ქვეყნების მოქალაქეების დასაქმებასა და ქართველების უმუშევრობას.

# დავით ბაქრაძე თიანეთის მოსახლეობას შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გუშინ თიანეთის მოსახლეობას შეხვდა და მათ პრობლემებს გაეცნო.

მან თიანეთში სოციალური მომსახურების სააგენტოს ახალი შენობა გახსნა. სააგენტო პენსიის და სადაზღვევო პოლისების გაცემას უზრუნველყოფს.



დავით ბაქრაძე

რამდენიმე თვეში თიანეთის მოსახლეობას გაზი ექნება. ბუნებრივი აირის მიწოდებასთან დაკავშირებით დაპირება მოსახლეობამ პარლამენტის თავმჯდომარისგან მიიღო.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში თიანეთში მოწესრიგდა წყალმომარაგება და წლის ბოლომდე მოსახლეობა მთლიანად გადავა 24 საათიან წყალმომარაგებაზე. მოწესრიგდა გზები, გარე განათება, აშენდა და მზად არის ახალი საავადმყოფო. წელს დავიწყებთ გაზიფიკაციის პროცესს ისე, რომ 2013 წელს თიანეთი იქნება გაზიფიცირებული“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

თიანეთის შემდეგ უახლოეს მომავალში დავით ბაქრაძე კასპს ეწვევა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რატომ უნდა დაისაჯონ სააკაშვილი–თარგამაძე–ალასანია

შალვა ჯოხაძე

## პოლიტიკური საჩუქრების დარიგების კონკრეტული ფაქტები

შეგახსენებთ, რომ შარშან, წლის ბოლოს საარჩევნო კანონმდებლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება და დამატება შევიდა. მათ შორის, ერთ-ერთი საინტერესო საკითხი პოლიტიკური მიზნით საჩუქრების გადაცემას ეხება. ცვლილებებამდე ასეთი ქმედება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში, ანუ დაახლოებით ორი თვის განმავლობაში იყო აკრძალული. ამიტომ, ძალიან ხშირად, წინასაარჩევნო პერიოდამდე პოლიტიკური გაერთიანებები კანონის ამ ხარვეზს მოხერხებულად იყენებდნენ და ამომრჩევლისთვის თავის მოწონებას სხვადასხვა ტიპის საჩუქრის გადაცემითა და უფასო სერვისების შეთავაზებით ცდილობდნენ.

– ამჟამინდელი კანონმდებლობა ასეთ ფაქტებს გამორიცხავს, თუმცა რამდენად ერთგვაროვნად და კეთილსინდისიერად მოხდება კანონის ინტერპრეტაცია, ამას დრო გვაჩვენებს.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, აკრძალულია პარტიის მიერ ნებისმიერი პირის საშუალებით საჩუქრის გაცემა. ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ პოლიტიკური მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით. არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რაც ამომრჩევლის მოსყიდვად არ ჩაითვლება. მაგალითად, სადღესასწაულოდ დასაშვებია მცირე ღირებულების საჩუქრების დარიგება წლის განმავლობაში 5 000 ლარის ფარგლებში, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“.

ორგანიზაციის ინფორმაციით, დეკემბრის ბოლოსა და იანვარში პოლიტიკური ძალების წარმომადგენლების (ან პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირებული პირების) მხრიდან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის საახალწლო საჩუქრების გადაცემის ბევრი ფაქტი გამოვლინდა. შესაბამისად, კანონი მოითხოვს, რომ კონტროლის პალატამ თითოეული შემთხვევა გამოიკვლიოს და კანონის ფარგლებში სათანადო რეაგირება მოახდინოს.

– ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტების ნაწილი 2012 წლის 12 იანვრამდე მოხდა (სისხლის სამართლის კოდექსში შესული ზემოთ ნახსენები ცვლილებები სწორედ ამ დღეს ამოქმედდა). „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლების მიერ გაცემული საჩუქრების საერთო ღირებულება 5000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაცია მოიცავს როგორც 12 იანვრამდე, ისე 12 იანვრის შემდეგ მომხდარ ქმედებებს. შესაბამისად, შესაძლოა სახეზე გვქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული და ასევე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა.

მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლებმა არაერთხელ დაარღვიეს კანონი და საქართველოს კონტროლის პალატამ რეაგირება უნდა მოახდინოს. ჩვენს ხელთ არსებულ ყველა სავარაუდო დარღვევის ფაქტზე ჩვენ მივმართეთ (2012 წლის 7 თებერვალი – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; 13 თებერვალი – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; 16 თებერვალი – თავისუფალი დემოკრატები) კონტროლის პალატას, მაგრამ არც ერთ ფაქტს დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“.

**ჩვენი ხელისუფლება, აშკარად, თავისსავე მოფიქრებულ და შემოღებულ ნოვაციებში აიხლართა. ნაციონალები პოლიტიკურ საჩუქრებს არიგებენ და სულაც არ ახსენდებათ, რომ ეს აკრძალული აქვთ. სხვათა შორის, მათ ოპოზიციური პარტიებიც არ ჩამორჩებიან. არსებობს ფაქტები, რომელთა თანახმადაც, სააკაშვილის გუნდმა თუ მისმა ოპონენტებმა ახლად შემოღებული კანონის ნორმები დაარღვიეს, თუმცა, ამაზე არავინ არაფერს ამბობს. ეს ფაქტები „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“ შეკრიბეს და შესაბამისი რეაგირებისათვის კონტროლის პალატასაც მიმართეს, თუმცა ამ უწყებისგან პასუხი არა და არ ეღირსათ.**


ირაკლი ალასანია

მაშ ასე, ამ ორგანიზაციის მიერ მოძიებული კონკრეტული ფაქტები ასეთია:

2011 წლის 30 დეკემბერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის გოჩა ენუქიძის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მან საახალწლო საჩუქრები გადასცა მრავალშვილიან დედებს, 100 წელს გადაცილებულ და ხანდაზმულ პირებს, მზრუნველობამოკლებულ და სოციალურად შეჭირვებულ ბენეფიციარებს;

2011 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის წევრის, გურამ კაკალაშვილის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, გურამ კაკალაშვილმა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გოზალიშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ლოლაძემ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საახალწლო ნობათი გადასცა;

2011 წლის 31 დეკემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა მამუკა ახვლედიანმა და ძველი თბილისის რაიონის გამგებლის მოადგილე ივა ჭყონიამ უფასო სასადილოს ბენეფიციარებს საახალწლოდ 9 დასახელების პროდუქტი გადასცეს. საახალწლო ნობათის დარიგება მთელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა;

2012 წლის 1 იანვარს ქალაქ ბათუმის მერიის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, საჩუქრები და ტკბილეული ბავშვებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ლევან ვარშალომიძისა და ბათუმის მერის რობერტ ჩხაიძისაგან პირადად მიიღეს. რეგიონებისა და ქალაქის პირველმა პირებმა საჩუქრები სოციალურად დაუცველ ოჯახებსაც მიუტანეს;

2012 წლის 1 იანვარს „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ახალი წელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელის მცხოვრებ ფრიდონ ნაჭყებიას ოჯახს მიულოცა და საჩუქრები გადასცა;

2012 წლის 2 იანვარს იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა/გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ და ქუთაისის მერმა გიორგი თევდორაძემ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს ქალაქ ქუთაისში საახალწლო საჩუქრები გადასცეს;

2012 წლის 3 იანვარს ქალაქ თბილისის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ავლაბრის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ სამადაშვილმა ისნის რაიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ბავშვებს ახალი წელი მიულოცა და ასამდე მოზარდი რუსთაველის თეატრში დაპატიჟა;

2012 წლის 5 იანვარს გლდანი-ნაძალადევის გამგეობის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, რაიონის გამგეობამ და მაჟორიტარმა დეპუტატებმა ახალი წელი მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს 2500 მოზარდს;

2012 წლის 5 იანვარს საინფორმაციო ვებპორტალის „გურია ნიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 31 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალეკო მამეშვილმა ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ილია ვაშაყმაძემ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა გოჩა შანიძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსმა ნათია ვაშალომიძემ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს – მარიზე ფირციძეს, ნანა ბერულავასა და მზევინარ ლურსმანაშვილს საახალწლო საჩუქრები მიუტანეს. ამის შემდეგ ომის ვეტერანს, ჟუჟუნა ბაბილოძესაც გადასცეს საჩუქრები. ამასთანავე, მათ უფასო სასადილოს მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარებს საახალწლო ნობათი გადასცეს;

2012 წლის 7 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის რუსუდან კერვალიშვილის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციიის თანახმად, რუსუდან კერვალიშვილი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვსი და პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 5 დაწესებულებას ეწვივნენ. სტუმრებმა ყველა პატიმარ ქალს ტკბილეული და საახალწლო საჩუქრები გადასცეს;

2012 წლის 11 იანვარს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის 11 იანვარს „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერებმა გიორგი თარგამაძემ, გიორგი ახვლედიანმა და მაგდა ანიკაშვილმა უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლს საჩუქრები გადასცეს. გარდა ამისა, 2012 წლის 7 იანვარს „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერებმა გიორგი თარგამაძემ და ჯაბა სამუშიამ ბერიანიძეების ოჯახს საახალწლო ნობათი და საჩუქრები დაურიგეს. ასევე, 2012 წლის 3 იანვარს გიორგი თარგამაძემ, ზაზა გაბუნიამ და ჯაბა სამუშიამ სოციალურად დაუცველ და დევნილ ბავშვებს შობა-ახალი წელი მიულოცეს და კინოთეატრ „ამირანში“ უმასპინძლეს. ზაზა გაბუნიას თქმით, აღნიშნული აქცია კვიპროსზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქის ფინანსური ხელშეწყობით გაიმართა;

2012 წლის 13 იანვარს ქალაქ თბილისის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მამუკა ახვლედიანმა მთაწმინდის რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს ძველით ახალი წელი მიულოცა და საახალწლო ნობათთან ერთად ცირკის წარმოდგენის ბილეთები საჩუქრად გადასცა;

2012 წლის 15 იანვარს საინფორმაციო ვებპორტალი „პირველის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ სოციალურად დაუცველი ბავშვების ნახატების გამოფენა გამართეს, რომლის დროსაც გიორგი თარგამაძემ და ჯაბა სამუშიამ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს;

2012 წლის 16 იანვარს თბილისის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს ინიციატივით თბილისის ცირკი ერთი დღით მთლიანად უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, ასევე სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებში მცხოვრებ პატარებს დაეთმო. საახალწლო წარმოდგენას მოზარდებთან ერთად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი და დედაქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა დაესწრნენ;

2012 წლის 19 იანვარს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის „ფეისბუქის“ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერები, გიორგი თარგამაძე და გიორგი ახვლედიანი, ასევე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დავით ლორთქიფანიძე, ვანის რაიონის სოფლების – დიხაშხოსა და ისრითის მოსახლეობას შეხვდნენ. აღნიშნულმა პირებმა ვანელებს ნათლისღება მიულოცეს, დაესწრნენ წირვას და ისრითის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას საჩუქრად სამრეკლოს ორი ზარი გადასცეს;

2012 წლის 22 იანვარს თბილისის საკრებულოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მამუკა ახვლედიანი და დიდგორის რაიონის გამგებელი გოგიტა ნიკოლაძე კოჯრის ბავშვთა სახლს ეწვივნენ და ბავშვებს საახალწლო ნობათი გადასცეს;

2012 წლის 22 იანვარს ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატების ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, სენაკის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ საქველმოქმედო აქცია გამართა და საახალწლო საჩუქრები გადასცა სენაკში მცხოვრებ ლაშა დანელიას და ინდერ დადეშელს.

## დემოკრატიული მოძრაობა“ რომელიმე კოალიციაში გაწევრიანებას არ აპირებს

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ რომელიმე კოალიციაში ან საარჩევნო ბლოკში გაწევრიანებას არ აპირებს, თუმცა, მზადაა საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკური ინტერესი გვერდზე გადადოს.




როგორც გუშინ მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრმა გია კობახიძემ განაცხადა, მოძრაობა უარს ამბობს მანდატებსა და პორტფელებზე. „გამოვთქვამთ მზადყოფნას შევასრულოთ ყველაზე მძიმე სამუშაო, იმისთვის, რომ 2102 წლის საპარლამენტო არჩევნები სააკაშვილისთვის და „ნაციონალური მოძრაობისთვის“ უკანასკნელი არჩევნები იყოს“, – განაცხადა მან.

მისი განმარტებით, შავ და მძიმე სამუშაოში ყველაზე რთულ პერიოდში ყველაზე რთულ პოზიციებზე დგომა იგულისხმება.

„პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლიდან დადგინდა, რომ მიხეილ სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებს. ხალხი დიქტატურის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს, უნდა შეიქმნას ერთიანი ფრონტი და ხელისუფლება სხვადასხვა სახის აქტივობებით მუდმივი წნეხის ქვეშ უნდა იყოს“, – განაცხადა მან.

**ნიუსპრესი**

## პარტიამ განახლებული საქართველოსთვის“ ახალგორის ორგანიზაცია გახსნა

პოლიტიკურმა პარტიამ „განახლებული საქართველოსთვის“ ახალგორის რაიონული ორგანიზაცია გახსნა. იგი წილკანის დევნილთა დასახლებაში მდებარეობს და მას ნაილი ნათაძე უხელმძღვანელებს.

ნათაძე დევნილებს პარტიის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზაალ თვალიაშვილმა წარუდგინა.

„განახლებული საქართველოსთვის“ წარმომადგენლები დევნილებსაც ესაუბრნენ.

„ჩვენ ვიმყოფებოდით წილკანის დევნილთა დასახლებაში და მოვისმინეთ პრობლემები, რაც მოსახლეობას აწუხებს. ძალიან მძიმე პირობებია, მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა, არ არის ტრანსპორტი, აფთიაქი და ენერგომომარაგების მხრივაც პრობლემებია“, – აცხადებენ პარტიაში.

„განახლებული საქართველოსთვის“ წარმომადგენლების თქმით, ახალგორის რაიონში მცხოვრები დევნილების მდგომარეობით არავინ ინტერესდება.

**ნიუსპრესი**




## ახალგაზრდა ნაციონალები“ აქციას გამართავენ

„ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრები დღეს მშვიდობის ხიდთან მშვიდობიან აქციას გამართავენ.

როგორც „ნიუსპრესს“ „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, გიორგი პატარაიამ აცნობა, მშვიდობიანი აქციის მონაწილეები სირიაში მიმდინარე პროცესებს დაგმობენ.

მშვიდობის ხიდზე დღეს ახალგაზრდა „ნაციონალური მოძრაობის“ წვრების აქცია 13:00 საათზე დაიწყება.

**ნიუსპრესი**

# ეკა ბესელია: ვერც კი წარმოიდგენთ, ნაციონალებს ისეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი“

შორენა კოწოწაშვილი

**„ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ეკა ბესელია ფიქრობს, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლის ერი ნაწილი ქვეყნის პირველი პირის იმპიჩმენტის საფუძველია. ბესელიას აზრით, სააკაშვილი დამარცხებას შეგუებულია და მსგავსი ხმაურიანი გამოსვლებით უნდა დააჯეროს თავისი გუნდი, რომ გაიმარჯვებენ.**

რატომ მაინცდამაინც ახლა გაახსენდა ხელისუფლებას ნარკომომხმარებლები და რატომ ეფერება სააკაშვილი ასე ვანო მერაბიშვილს და რატომ იცავს ასე მას და მის ქონებას ასე თავგამოდებით? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეკა ბესელიასთან.

– ქალბატონო ეკა, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის საპარლამენტო ანგარიშს. იგრძნობოდა თუ არა, რომ პრეზიდენტი ნიშნის მოგებით საუბრობდა ოპოზიციასთან მიმართებაში?

– ნაცნობი ლინგვისტიკა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, იგივე დემაგოგია, სიცრუე, უტაქტობა და უპატივცემულობა, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მიმართ. ის, რაც მოხდა ყველაზე კრიტიკული გამოსვლების მოსმენის დროს, სააკაშვილის გავარდნას და შემდგომ მის ღია მუქარით ნათქვამ ფრაზებს ვგულისხმობ ბაღათურია-ცაგარეიშვილის მიმართ, ეს პირდაპირი მტკიცება და სამხილია, როგორ არ სცემს პატივს კონსტიტუციას ქვეყნის პირველი პირი. პრეზიდენტი, რომელიც საკუთარ თავს მიიჩნევს მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ლიდერად, იშველიებს შემდეგ ფრაზებს: ,,ჩემი უმრავლესობა... ჩემი პარტია... მე ყველაფერს გავაკეთებ მათ გასამარჯვებლად..“ ეს პირდაპირ კონსტიტუციის დარღვევაა. შევახსენებ მიხეილ სააკაშვილს, ხანდახან გადაავლოს თვალი იმ თავს ქვეყნის ძირითად კანონში, სადაც პრეზიდენტის მოვალეობა წერია და გაიხსენოს, რომ იგი ყველას, საქართველოს თითოეული მოქალაქის, ოპოზიციონერის თუ მომხრის, ასეთის თუ ისეთის... ყველას უფლების დამცველი უნდა იყოს. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, თავი წარმოადგინოს თავისი პარტიის ინტერესების დამცველად. აი, რატომ არ უნდა იყოს თუნდაც პარტიის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი. როდესაც სააკაშვილი საუბრობდა სიტყვებით ,,დაგზელენ, როგორც საჭიროა..“ პარლამენტის წევრის მიმართ – ეს არის უკვე იმპიჩმენტის საფუძველი ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. მას ხომ უსმენდნენ ელჩები? თუ მათ აქამდე არ უნახავთ სააკაშვილი, როგორია კრიტიკული აზრის მოსმენის დროს, ახლა ხომ ნახეს? ისინი რომ იქ, დარბაზში არ ყოფილიყვნენ და პირდაპირი ეთერი არ ყოფილიყო, ყველაფერი ალბათ ჰაერში იფრენდა, რაც კი სააკაშვილის ირგვლივ იდო. სამწუხაროდ, ასეთი სცენების შემყურე ილაპარაკო კანონის წინაშე თანასწორობაზე და სამართლის უზენაესობაზე, მიამიტობას ჰგავს. ან რას ჰგავდნენ უმრავლესობის წევრები? გახსოვთ, მათი ბედნიერი სახეები და ლაქუცა იერი, ტაში და აპლოდისმენტები, როცა ილანძღებოდა ქვეყნის პირველი პირი? ამის შემყურე ვფიქრობდი: რა საცოდაობაა, როდესაც ადამიანი ასეთად გადაიქცევა??? არ გადააქციეს, არამედ გადაიქცნენ ასეთებად, ეს მათ უნდათ, თორემ ღირსების მატარებელი ადამიანებიც ხომ არსებობენ?!

– პრეზიდენტის გამოსვლა არის იმის დასტური, რომ სააკაშვილის უმრავლესობას ახალ პარლამენტშიც უმრავლესობა გარანტირებული აქვს? პრეზიდენტმა მიანიშნა, თქვენ მთავარი – ქართველი ხალხი დაგავიწყდათ.


ეკა ბესელია

ანუ მათი ხმები და ეს ხმები ჩემს ხელშიაო.

–ნუ დაგვავიწყდება, სააკაშვილმა უნდა უმტკიცოს მის გუნდს, რომ წასვლას არ აპირებს, რომ ბოლომდე იბრძოლებს, რომ დარჩება პოლიტიკაში. ეს რომ არ გააკეთოს, მას ხომ მარტივ მამრავლებად დაეშლება გუნდი. სააკაშვილმა იცის, როგორი რეალური და ცხადია, ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება და რა ქნას, როცა ხედავს მისი გუნდის დიდი ნაწილი, როგორ წვალობს, რომ სხვა გადარჩენის გზა მოძებნოს. ამიტომ უნდა იყვიროს, დააჯეროს თავისი გუნდი, რომ არსად არ მიდის... იმავდროულად მართლაც არ სურს წასვლა და ძალაუფლების დათმობა. არ სურს, მაგრამ ეს გარდაუვალია.

– პრეზიდენტის ინიციატივებზე რას იტყვით? რა აჩვენა მთავარი აქცენტებით იგივე რუსეთთან მიმართებაში? აქამდე ხომ ასე იყო, ვინც რუსეთისკენ გაიხედავდა, ყველა სამშობლოს მოღალატე იყო და პუტინის სისხლიან ხელს ართმევდა.

– ჩვენ მივეჩვიეთ, რომ რუსეთის მიმართ რიტორიკა არ შეიცვლება ხელისუფლების, რადგან ეს მარადიული მტრის ხატი მათ სჭირდებათ საკუთარი პროპაგანდისთვის. თუმცა ეს მათ ხელს არ უშლით, ეკონომიკა რუსეთს ჩააბარონ და ამით კონტროლის ბერკეტები გადასცენ ქვეყანას, რომელსაც მტერს უწოდებენ თავად და დღესაც ებრძვიან წარმოსახვებში. მიხეილ სააკაშვილი ყველანაირად ცდილობს, ერთდროულად ეძებოს დასაყრდენი რუსეთშიც და დასავლეთშიც.

– არის თუ არა მისი მხრიდან ფინანსების გულუხვად გაღების დაპირება ჯანდაცვის, განათლების და სხვა პროექტებში ივანიშვილის დიდი ფინანსური რესურსით გამოწვეული?

– რასაკვირველია. ხელისუფლება თავად ყველა ფეხის ნაბიჯზე დაარღვევს კანონს და მის მიერვე ბოლო პერიოდში შემოტანილ აკრძალვებს არ დაექვემდებარება. მოისყიდის ამომრჩეველს, ყველა რესურსს გამოიყენებს, ხოლო კანონს უსამართლოდ აამოქმედებს ბიძინა ივანიშვილის და მისი გუნდის წინააღმდეგ. ამას უნდა ველოდოთ, მაგრამ იმავდროულად ვიმოქმედოთ. სააკაშვილს ეშინია ბიძინა ივანიშვილის და იცის, რომ ხალხის დიდი ნაწილის გული და იმედი სწორედ ბიძინა ივანიშვილისკენ იხრება. ამიტომ იქცევა იგი ამგვარად.

– რა იყო პრეზიდენტის გამოსვლის მთავარი აქცენტი? ეს საქართველოს მოსახლეობის საამებლად გაკეთებული განცხადებები იყო თუ უფრო რუსეთის მმრთველი პუტინის?

– სააკაშვილის დაპირებები იგივეა, რაც იყო 2004 წელს, რაც იყო 2008 წელს. შეადარეთ ეს დაპირებები და აბსოლუტურად იგივეა. ანუ ხელისუფლებას დღემდე აქვს შეუსრულებელი დაპირებები და ამიტომ ტყუილია, რომ ისინი ოდესმე ხალხზე იზრუნებენ. ამისთვის მათ 8 წელი ჰქონდათ. მათ დაანგრიეს ქვეყანა და თავად გამდიდრდნენ. ქვეყანა დააპატარავეს და ღირსება შეულახეს, მესამედი მოსახლეობის ციხეში გამოკეტეს. ნახეთ, რა ამბავია ატეხილი ნარკომომხმარებლებზე. ეს შემთხვევითი ხომ არ გონიათ? ან ვინმეს სჯერა, რომ ნარკომანებზე ზრუნავენ დღეს ნაციონალები? იცით, რამდენი წელია მომზადებულია კანონპროექტი და დევს პარლამენტში, რომ მომხმარებლები არ უნდა ისჯებოდნენ მკაცრად და გამიჯნული უნდა იყოს რეალიზატორი და მომხმარებელი? 5 წელზე მეტია დევს ეს კანონპროექტი პარლამენტში და არ უნდოდათ ამის მიღება. უამრავი ადამიანი ზის უკანონოდ ციხეში, უსამართლო სასჯელებით. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება. ხელისუფლება თავად მფარველობს ნარკორეალიზატორებს. ახლა კი რამდენიმე კვირაა საუბრობენ, რომ უნდა იზრუნონ ნარკომანებზე. რატომ? არჩევნებისთვის ხომ არა? გახსოვთ არა, რა გააკეთეს საპარლამენტო არჩევნების წინ, გამოუშვეს პატიმართა ის ჯგუფები, რომლებსაც დაავალეს ხმების მოგროვება არჩევნებზე და ამუშავეს თავის სასარგებლოდ. მე პირადად ვიცი ასეთი ფაქტები, სადაც კენჭს ვიყრიდი. შემდეგ, როცა გამოიყენეს ეს ადამიანები ცუდ საქმეში, ისევ დაიჭირეს. იმედია, ეს ფაქტები ახსოვთ ამ ადამიანების ოჯახებს და თავს კიდევ ერთხელ არ გამოაყენებინებენ ხელისუფლებას, რომ ისევ გააგრძელონ ქვეყნის ნგრევა. მე მივესალმები ყველა უკანონოდ დაპატიმრებული პირის გათავისუფლებას და ამისთვის ვიბრძვი უკვე რამდენი წელია, მაგრამ ვხედავ, რა მზაკვრობა და ბოროტება ჩაიფიქრა ხელისუფლებამ საპარლამენტო არჩევნების წინ. მივაქციოთ ამას ყურადღება.

– რამდენად ითვალისწინებს პრეზიდენტის გამოსვლა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ან თუნდაც რაიმე სახის დანაშაულის ნიშნებს, როცა საუბრობდა, რომ მისი მინისტრები გაღლეტილები ანუ ღარიბები არიან და რომ ისინი სკამებს „აცდენენ“. იცრუა პრეზიდენტმა თუ მინისტრების ქონება რეალურად დაფარა?

– სააკაშვილის დანაშაულობათა ჩამონათვალი დიდია საკმაოდ, დაწყებული ადამიანების სიცოცხლის ხელყოფით და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით, დამთავრებული არჩევნების გაყალბებით და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იმდენი საშინელი დანაშაული ამოტივტივდება, რომ ადამიანის გონება დღეს ამას ვერ წარმოიდგენს სრულად. მერე ვნახოთ, ვინ, რა განწყობაზე იქნება.

– არის თუ არა სააკაშვილის მიერ მთავრობის წევრებისა და მაღალჩინოსნების სასახლეების ფოტოების გვერდზე მოფრიალება იმის დასტური, რომ ეს ხელისუფლება კბილებით დაიცავს თავის ქონებას, სკამებს და სააკაშვილი კორუმპირებულ მინისტრებს მფარველობს?

– რასაკვირველია. ხელისუფლება ეცდება, რომ გადაირჩინოს თავი და საკუთარი ქონება. ხომ ვიცით, რომ მილიარდები დააგროვეს ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა ხალხის ხარჯზე. როცა ბიძინა ივანიშვილი საკუთარი შრომით მოპოვებულ ფულს ადამიანებს უანგაროდ უნაწილებდა, ხელისუფლება ამას საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა, იბრალებდა და მერე საკუთარ ხალხს ძარცვავდა. აი, ესაა სიმართლე.

# ინგა გრიგოლია: მოვითხოვ, პრეზიდენტს ნარკოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდეს“

## პენტაგონი სააკაშვილს ურჩევს, არმია ხალხთან არ დააპირისპიროს

თამარ ნინიძე

ერთმა მიშისტურად განწყობილმა ჟურნალისტმა ამას წინათ ბიძინა ივანიშვილი აღმოსავლური ტიპის მმართველად და დიქტატორად მოიხსენია. მისი არგუმენტი მხოლოდ ის იყო, რომ ივანიშვილი თურმე სოლოლაკის შუშის სასახლიდან (ასე უწოდებენ მიშისტი ჟურნალისტები და ნაცები ივანიშვილის რეზიდენციას) არ გამოდის, ხალხში არ დადის და თუკი მოუხდა ქუჩაში გამოსვლა, აუცილებლად ჯიბეში აქვს ხელები ჩაწყობილი და დაძაბული სახით აკვირდება ადამიანებს. ვერაფერს იტყვი, მშვენიერი პორტრეტია, მაგრამ ივანიშვილამდე სანამ მიხვალთ, თქვე დალოცვილებო, საკუთარ მმართველს მიხედეთ, დააკვირდით კარგად და ყურადღებით, რას აკეთებს, როგორია მისი მიმიკები, ჟესტების ენა, ჩაქირქილება, თვალების უცნაური გამომეტყველება, ხელების არანაკლებ უცნაური ქნევის მხოლოდ მისეული, ექსკლუზიური თვისება, დააკვირდით და მიხვდებით, რომ საქმე სახუმაროდ არა გაქვთ.

მისი მდგომარეობა რვა წლის წინ, 2003 წლის რევოლუციამდეც არ იყო სახარბიელო, მაგრამ ახლა მდგომარეობის დამძიმების აშკარა ფაქტებს ვხედავთ და სახიფათო პერსპექტივის წინაშე დგას მთელი ქვეყანა. მიხეილ სააკაშვილის ლექსიკონიც ადეკვატურად მისი მდგომარეობისა მძიმდება და თანდათან ბსოლუტურად უკონტროლო ხდება, უზრდელობა ეს ოჯახური აღზრდის პრობლემაა და შეიძლება ადამიანმა სამსართულიანი გინების მთელი არსენალი გამოიყენოს, მას აუცილებლად დაუსვამენ დიაგნოზს – უზრდელი და თანამდებობისთვის შეუფერებელი, მაგრამ ის, რაც მიხეილის თავს ხდება, უზრდელობა არ არის, ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა, ეს ის ქმედებებია, რომელსაც პერსონა ვეღარ აკონტროლებს და ვერ აღიქვამს, გარშემომყოფები მის გამონათქვამებს როგორ იღებენ.

ჩარეცხილი ინტელიგენცია, ეს ფრაზა კარგა ხანია ტრიალებდა მედიაში, მერე ამას მოჰყვა მუმიები და ურჩხულები, როგორც გავარკვიეთ, ის ოპოზიციის გამორჩეულ ლიდერებს, შევარდნაძის დროინდელ მინისტრებს და თანამდებობის პირებს გულისხმობდა, ორიოდე დღის წინ მან ოპოზიციას კუდის ქიცინის შეწყვეტისა და საგარეო კურსის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდა, ჰილარი კლინტონზე თქვა, ეს თქვენ გგონიათ წამოვა გუდიანი ქალივით, მოიკიდებს ზურგზე პრეზიდენტს და წაიყვანს ქვეყნიდანო. 2012 წლის 28 თებერვალი კი მიხეილის ბიოგრაფიაში წითელი მელნით ჩაიწერება. სააკაშვილმა ცაგარეიშვილი გაიშნიკად მონათლა, ბაღათურია კი

– კლოუნად. კულმინაცია იყო ჯონდი ბაღათურიას მიმართ თქმული შეურაცხმყოფელი სიტყვები ტალახში გორაობაზე, რომელიც მისი თქმით, ბაღათურიას ბუნებრივი მდგომარეობაა, ანუ მარტივად რომ ავხსნათ, ბაღათურია იმ ცხოველთან გააიგივა, რომელსაც ტალახში კოტრიალი უყვარს.

„მამაჩემს დავურეკავ, აქვეა ბალნეოლოგიური, მაგრამ ვთხოვ, თქვენგან განსხვავებით ხარისხიანი ტალახი მოამზადონ, მანდატურებიც წამოვლენ და კარგად დაგზელენ.“ – ასე მიმართა ჯონდის კრიტიკისგან გონებადაბინდულმა სააკაშვილმა, მერე გაცოფებული დარბაზიდან გავარდა. ეტყობა დამშვიდების განსაკუთრებული პროცედურების შემდეგ სააკაშვილმა დარბაზში შებრუნება ინება, მაგრამ ბაღათურიას მაინც უთხრა, ახლა მამაჩემს ველაპარაკე და ტალახს გიმზადებენო. როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაშვილის ამ ზღვარგადასულმა გამონათქვამებმა ნაცები შეურაცხყოფის ახალ ტალღაზე გადაიყ-


ინგა გრიგოლია

ვანეს და ნუგზარ იგივე ბოცო წიკლაურმა ბაღათურია ეთნოგრაფიულ იშვიათობად შერაცხა, თარგამაძე კი ბრუტუსად მოიხსენია. არც ეს იყო საკმარისი და გიორგი თარგამაძე ქართული ოპოზიციის მაფიოზად მოიხსენიეს.

სააკაშვილი ტიპურ აღმოსავლეთის ტირანად ჩამოყალიბდა. ბარაკ ობამასაც ისე გაუთამამდა, ვიღებ მის რჩევას, მაგრამ როგორც ჩავთვლი საჭიროდ, ისე მოვიქცევიო, თქვა, მას შემდეგ, როცა ობამამ მას კიდევ ერთხელ შეახსენა ხელისუფლების გადაბარების შესახებ. მანამდე იგივე შინაარსის საუბრები ჰილარი კლინტონს ჰქონდა მიხეილთან. როგორც ჩანს, სააკაშვილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არათუ დარჩეს ხელისუფლებაში, არამედ შეეწინააღმდეგოს ამერიკის ადმინისტრაციას, იმ ორგანოს, რომელმაც არაერთხელ გადაურჩინა მას ძალაუფლება. ორვადიანი პრეზიდენტობის შემდეგ სააკაშვილი ჯერ ნაცების გამარჯვებას წინასწარმეტყველებს და შემდეგ იმასაც აცხადებს, რომ პოლიტიკიდან არ მიდის.

სააკაშვილის გამოსვლა პარლამენტში კიდევ ერთი დასტური და ნიშანია ცივილიზებული მსოფლიოსთვის, რაოდენ მოკლე დროში შეიძლება დასავლური ტიპის მმართველი და ევროპული ღირებულელებების მქადაგებელი ჩვეულებრივ აღმოსავლური ტიპის დესპოტად იქცეს, დიქტატორად, რომელიც ტოტალიტარულ რეჟიმში აბრუნებს ისედაც სამოცდაათი წლის განმავლობაში ამ რეჟიმში მყოფ ქვეყანას. მით უმეტეს, საშიშია ყოველი ჩვენგანისთვის ეს ვითარება, თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის არაადეკვატურ მდგომარეობას.

საკრებულოს წევრმა ქრისტიან-დემოკრატების ფრაქციიდან ინგა გრიგოლიამ მწუხარებით აცნობა საზოგადოებას, რომ პრეზიდენტს ფსიქიკა წესრიგში არა აქვს. ,,მოვითხოვ, პრეზიდენტს ნარკოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდეს. საპარლამენტო გამოსვლისას გამოვლენილი აგრესია და არაადეკვატური რეაქციები მის არაჯანსაღ მდგომარეობაზე მიუთითებს. არ შეიძლება ქვეყანას არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანები მართავდნენ“, – ასეთი იყო ინგა გრიგოლიას გამოხმაურება სააკაშვილის ქცევებზე პარლამენტში.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მიხეილ სააკაშვილი: უმუშევრობა პრაქტიკულად აღარ იქნება“

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის დაწყებით საქართველოში უმუშევრობა პრაქტიკულად აღარ იქნება , — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა წეროვანში, ფარმაცევტულ საწარმო „აზიფარმში“ სტუმრობისას განაცხადა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ეს პროცესი დაახლოებით წელიწადნახევარში დასრულდება.

პრეზიდენტის განცხადებით, მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ საქართველოს ექნება თავისუფალი ვაჭრობა ამერიკასთან.

„ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობა არ აქვს არც თურქეთს, არც გერმანიას. გერმანიის კანცლერი მთავარ საკითხს, რასაც აყენებს ამერიკასთან, არის ის, რომ გერმანიას და ევროკავშირს ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობა ამერიკასთან და იღებს ამაზე უარს. ერთადერთი ქვეყანა მთელ რეგიონში, რომელსაც ექნება თავისუფალი ვაჭრობა, არის საქართველო. ეს ნიშნავს, რომ საქართველო ხდება მართლაც ცენტრი წარმოების ყველა მიმართულებით“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# მიხეილ ალექსიძე 77-ე სკოლაში ჩაირიცხა

მიხეილ ალექსიძე თბილისის 77-ე სკოლაში გააგრძელებს სწავლას. ეს განცხადება გუშინ 77-ე სკოლის დირექტორმა ნინა ხიდაშელმა გააკეთა.

მისი თქმით, ალექსიძეს გაცდენილი საათები სკოლაში სიარულის პარალელურად აღუდგება.

„ბავშვი ჩვენს სკოლაში არის ჩარიცხული. ჯერჯერობით ალექსიძე სკოლაში არ გამოცხადებულა. გამოცხადების შემთხვევაში ჩვენ დავეხმარებით გაცდენილი საათების ანაზღაურებაში და საპროგრამო მასალის დაძლევაში“, — განაცხადა ნინა ხიდაშელმა.



მიხეილ ალექსიძის დედა ლალი ლეკიშვილი „მედიანისუთან“ საუბარში კი აცხადებს, რომ მისთვის ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არავის მიუწოდებია.

„ჩვენ გვინდა, რომ გაუქმდეს ბავშვის სკოლდან გარიცხვაზე მიღებული უკანონო გადაწყვეტილება. მოსწავლე ავტომატურად ჩაირიცხოს 53-ე სკოლაში და ამის შემდეგ თავად ბავშვი გადაწყვეტს გადავა სხვა სკოლაში თუ დარჩება იმავე სკოლაში“, — განაცხადა ლალი ლეკიშვილმა.

53-ე სკლის დირექტორის ტარას შავშიშვილის განცხადებით, მიხეილ ალექსიძემ სკოლის შინაგანაწესი დაარღვია, რაც სკოლიდან გარიცხვის მიზეზი გახდა და ეს გადაწყეტილება მოსწავლესა და დირექტორს შორის პიროვნულ დაპირისპირებას არ უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ თბილისის 53-ე სკოლის დირექტორ ტარას შავშიშვილსა და სკოლის ორ მოსწავლეს შორის დაპირისპირება მოხდა, რის გამოც მოსწავლეები სკოლიდან გარიცხეს და მომხდარზე ხულიგნობის მუხლით სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. მას შემდეგ მიხეილ ალექსიძეს არცერთ სხვა სკოლაში არ იღებენ. პრეზიდენტმა კი პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას მას ხულიგანი უწოდა და განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ასეთი მენტალიტეტის ახალგაზრდები აღარ იყვნენ სკოლებში. ამ განცხადების შემდეგ უფლებათადამცველებმა და ოპოზიციამ პრეზიდენტი უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაში დაადანაშაულეს.

**მედიანიუსი**

# ოპოზიციურ ძალებს ერთიანი ფრონტის შექმნისკენ მოუწოდებენ

„სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭო განცხადებას ავრცელებს და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ოპოზიციურ ძალებს ერთიანი ფრონტის შექმნისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

— „სახალხო კრება“ ადეკვატურად აფასებს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ რეალობას და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. საშინაო და საგარეო რისკების ელემენტარული ობიექტური ანალიზიც კი იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ: ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას და მას გადარჩენა სჭირდება. სწორედ ამიტომ, „სახალხო კრება“, როგორც ხალხის ნების გამომხატველი, საზოგადოების თვითორგანიზებით შექმნილი ლეგიტიმური ზეპარტიული ორგანო, ყველაფერს აკეთებს იმ პროცესების ხელის შესაწყობად, რომელიც მიმართულია არსებული დამნაშავე ხელისუფლების რეალური შეცვლისაკენ.

მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან უპრეცედენტო ტერორის და რეპრესიებისა და ოპოზიციური ძალების უმეტესობის მხრიდან ხელისუფლებასთან უნისონში დაუსრულებელი ცილისწამებებისა, „სახალხო კრება“ კვლავ რჩება ქვეყანაში ავტორიტარულ რეჟიმთან შეურიგებელ ძალად, რომელიც ბოლომდე იბრძვის და იბრძოლებს ჩვენი სამშობლოს გადარჩენისათვის.

„სახალხო კრება“ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აცხადებს, რომ ჩვენ ვართ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, დასავლურ ფასეულობებზე ორიენტირებული ეროვნული მსოფლმხედველობის მატარებელი ძალა. ჩვენ, ჩვენი პოზიციითა და ყველა ქმედებით არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჩვენთვის უზენაესი ჩვენი სამშობლოს ინტერესებია. ჩვენ არა თუ ხელი არ შეგვიშლია არც ერთი პროცესისათვის, რომელიც სიტყვით ან, მით უფრო, საქმით მიმართული იყო რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ მეტიც, ყოველთვის ვცდილობდით ხელი შეგვეწყო ამ პროცესებისათვის, იმისდა მიუხედავად თუ როგორი იყო „სახალხო კრებისათვის“ დამოკიდებულება ამა თუ იმ ძალის მხრიდან. ჩვენი პოზიცია დღესაც ურყევია: ჩვენ ვითანამშრომლებთ და ხელს შევუწყობთ ნებისმიერ იმ ძალას, რომელიც რეალურად შეებრძოლება რეჟიმს და იბრძოლებს იმისათვის, რომ ქვეყანა დემოკრატიული, სტაბილური და ეროვნული ინტერესების შესატყვის განვითარების გზას დაადგეს.

ამ ფონზე მით უფრო მიუღებელია იმ უსაფუძვლო ბრალდებების კასკადი რომელიც მოდის აღმასრულებელი საბჭოს წევრი პოლიტიკური ლიდერების, განსაკუთრებით ნინო ბურჯანაძის და შესაბამისად „სახალხო კრების“ მიმართ. ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს უსაფუძვლო კრიტიკა, ჩვენს მიერ აღიქმება, როგორც დარტყმა მთლიანად „სახალხო კრებაზე“, მის მიერ დეკლარირებულ მიზნებსა და პრინციპებზე.

„სახალხო კრება“ დღესაც, ისევე როგორც დაარსების პირველი დღიდან თვლის, რომ არსებულ რეალობაში ხალხის გამარჯვების ერთადერთი რეალური გზა, ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნაა. ფრონტისა, რომელიც თავისი ძალისხმევით უზრუნველყოფს „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებისათვის საჭირო წინაპირობების შექმნას და რეალურად კონკურენტულ გარემოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, — ნათქვამია განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ვის ჩასვამს სიაში დავით გამყრელიძე

ნათია ხურცილავა

**ახალი მემარჯვენეების ლიდერი, დავით გამყრელიძე, საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სიების ყოველ ათეულში ქალთა რაოდენობის 30 პროცენტით წარმოდგენის ინიციატივით გამოდის.**



აღნიშნული განცხადება დავით გამყრელიძემ ახალი მემარჯვენეების ქალთა ორგანიზაციის მეხუთე საიუბილეო კონფერენციაზე გააკეთა. მისი განმარტებით, ახალი მემარჯვენეების დამოკიდებულებამ გენდერული საკითხების მიმართ, პარტიაში ქალთა წამოწევამ გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის ზრდისთვის გადადგმულმა ნაბიჯებმა თავისთავად შექმნა საფუძველი ამ გადაწყვეტილებისთვის.

— ახალი მემარჯვენეები დღეს მზად არიან, აქტიურად გამოეხმაურონ მთელ დემოკრატიულ სამყაროში არსებულ ტენდენციას პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის შესახებ და უზრუნველყონ, რომ საპარლამენტო სიების ყოველ ათეულში ქალები არათუ 20, არამედ 30 პროცენტით იყვნენ წარმოდგენილი, — აღნიშნა მემარჯვენეების ლიდერმა.

მემარჯვენეების ქალთა ორგანიზაციას დაარსებიდან ათი წელი შეუსრულდა. საიუბილეო კონფერენციაზე პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარედ მანანა ნაჭყებია აირჩიეს, თანათავმჯდომარეებად — ირინა ფრუიძე და მაია გეგია. ასევე აირჩიეს ქალთა ორგანიზაციის გამგეობა და დამტკიცდა ორგანიზაციის განახლებული დებულება.

ღონისძიებას, პარტიის ლიდერებთან ერთად, საქართველოში აკრედიტებული უცხოური დიპლომატები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ქალთა ორგანიზაციის მთავარი მიზანი 2012 წლის არჩევნებში პარტიის წარმატებული მონაწილეობისთვის მემარჯვენე ქალებისა და მათი მხარდამჭერების მობილიზება, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, მცირე ბიზნესში დასაქმებულ და სოფლად მცხოვრები ქალების ხელშეწყობაა.

**დავით გამყრელიძე:**

— ჩვენს პარტიაში ქალთა ორგანიზაცია ტრადიციული ორგანიზაციაა. ის ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო. წელს საარჩევნო წელია და მათი მნიშვნელობა ერთიორად გაზრდილია. ქალბატონები ძალიან აქტიურად მუშაობენ პარტიაში. მუშაობენ ძალიან ძლიერად როგორც საარჩევნო უბანზე, ისე წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქალბატონების მონაწილეობა მთელ ამ პროცესში, იმიტომ რომ ქალმა უკეთესად იცის ის პრობლემები, რომლებსაც ის ყოველდღიურად ეჯახება, ვიდრე მამაკაცმა. ჩვენ პარტიაში, ტრადიციულად, ძალიან ძლიერად გვყავდა წარმოდგენილი ქალები, როგორც ლიდერები, ისე, ზოგადად, ორგანიზაციაში. ჩემი ინიციატივით პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან პარტიულ სიაში ქალბატონები 30 პროცენტით იქნებიან წარმოდგენილი. ეს იქნება არამხოლოდ ამ, არამედ ყველა დონის არჩევნებზე. ეს არ არის საერთაშორისო მოთხოვნებისადმი ფეხის აყოლა, არამედ ეს არის ის ბუნებრივი მდგომარეობა, რომელიც არის პარტიაში. იმ რაიონებში, სადაც ქალია ჩვენი პარტიის თავმჯდომარე, ყველაზე კარგი მდგომარეობა, უკეთესი შედეგი გვაქვს. ეს რეალობაა. ახალ მემარჯვენეებში ქალთა წარმომადგენლობა სრულიად განსხვავებულია სხვა პოლიტიკური ძალებისგან, რაც მეამაყება. ამას ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ თავი მოვაწონოთ ევროპელებს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ, გარკვეულწილად, პოლიტიკურ პროცესებს ვასწრებთ, გვინდა, ევროპული პოლიტიკის პარტია ვიყოთ, ვიყოთ იმ სტანდარტების მატარებელი, რომლებიც დღეს ცივილიზებულ სამყაროშია.

**ფიქრია ჩიხრაძე:**

— ძალიან მნიშვნელოვანია ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ბუნებრივად ხდებოდეს. ქალების მოსვლა პოლიტიკაში არ უნდა იყოს ხელოვნური, ნაძალადევი პროცესი. მე ვფიქრობ, სწორედ ჩვენ შევქმენით იმის მაგალითი, რომ ეს მართლაც ძალიან ბუნებრივად და ლოგიკურად ხდება ჩვენს პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ჩვენს პარტიულ საქმიანობაში ყველა დონეზე ქალბატონები არიან ჩართული.

**მანანა ნაჭყებია:**

— პოლიტიკაში ქალის მოღვაწეობა ძალიან მნიშვნელოვანია. ქალები თავიანთი პიროვნული თვისებებით გამოირჩევიან. ქალები არიან ერთგულნი, სანდონი, ორგანიზებულნი. ყოველთვის თუ რამე წარმატებისთვის მიგვიღწევია, იყო ქალების თანამონაწილეობით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ვცდილობთ გავააქტიუროთ ჩვენი ყველაზე „დამრტყმელი“ ძალა. ახალი მემერჯვენეების წარმომადგენელი ქალები კიდევ ერთხელ დაადასტურებენ, რომ ისინი არიან ყველაზე ძლიერნი, ყველაზე ორგანიზებულნი ძალა პარტიაში. პარტიის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ჩვენ ორი ძირითადი პრიორიტეტი გვექნება: მცირე ბიზნესში დასაქმებული ქალბატონებისთვის ხელშეწყობა, დახმარება, მათი პრობლემების წამოწევა და ასევე წამოწეული იქნება სოფლად მცხოვრები ქალბატონების პრობლემები. ეს არის ორი ძირითადი პრიორიტეტი, რომლებიც ჩვენი ყურადღების ცენტრშია, თუმცა, რა თქმა უნდა, ახალი მემარჯვენეები, ტრადიციულად, ჩვენს პრიორიტეტულ თემებს ჯანდაცვას, განათლებას ვერ ავუვლით გვერდს. ქალთა ორგანიზაცია სწორედ ამ მიმართულებებით იმუშავებს.

# ინგა გრიგოლია: მოვითხოვ, პრეზიდენტს ნარკოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

თბილისში პერიოდულად უცნაური ჭორები ვრცელდება, სააკაშვილის ქალებისადმი უხეში დამოკიდებულების თაობაზე. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ფავორიტი ხელოვანი ქალბატონი არაერთხელ აღმოჩნდა ფიზიკური ზემოქმედების მსხვერპლი. ღმერთმა ქნას, ეს მხოლოდ ჭორები იყოს.

ოპოზიციამ თავის თავზე იწვნია სააკაშვილის მდგომარეობის სიმძიმე, თავად ნაცები კი ცდილობენ ამ სიტუაციას ახსნაც მოუძებნონ და კიდევ უფრო დაამძიმონ ვითარება ექოსავით გამეორებული შეურაცხმყოფელი თავდასხმების მეშვეობით. ნაცმოძრაობის დეპუტაციას სააკაშვილი ასეთიც უნდა, რატომაც არა, აქვთ მაღალი ხელფასები, ემსახურებათ სამთავრობო მანქანები, დადიან საზღვარგარეთ ვითომ „საქმიან“ შეხვედრებზე, აქვთ მოკვდავთათვის უჩვეულოდ ბევრი პრივილეგია, იგივე მინისტრებზეც ითქმის, მაგალითად, საიტებზე დაპოსტილ ასეთი შინარსის ფრაზებს წაიკითხავთ: „ჩოჩელის სახლია თუ სამხარეო ადმინისტრაცია“; „ნეტავ მეც ვიყო ქონებრივად მერაბიშვილივით „გალლეტილი“, ხომ არ დავეხმაროთ და ფული შევუგროვოთ, შიმშილით კვდება მისი ოჯახი“. ხალხი უკვე ხალისობს სააკაშვილის ფრაზებზე მისი მინისტრებისა და პროკურორების სილატაკესა და გაჭირვებაზე. ნაცები არ იმჩნევენ სააკაშვილის მდგომარეობას, მაგრამ ვიდრე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის სამზადისი კულმინაციას მიაღწევს და ვიდრე მიხეილი მესამე ვადით ამჯერად პარლამენტის სპიკერად ან პრემიერ-მინისტრად მოგვევლინება, მან უნდა გაიაროს განსაკუთრებული სამედიცინო შემოწმება, ინგა გრიგოლიას ვეთანხმები, რომ ნარკოლოგიური შემოწმება შეიძლება ადგილზე, საქართველოშიც გაიაროს, მაგრამ საგანგებო ფსიქიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება მან საერთაშორისო მასშტაბის, მსოფლიოში აღიარებული ფსიქიატრების ხელში უნდა გაიაროს. აქ ნარკოლოგიურ შემოწმებას გააყალბებენ, უცხოეთში კი ამის რისკი თითქმის არ არის. მარტო სააკაშვილზე აცრილად რომ არ ჩამთვალოს ვინმემ, ვურჩევდი ბიძინა ივანიშვილსაც, ალასანიასაც და უსუფაშვილსაც გაიარონ ეს აუცილებელი პროცედურები. ეგებ ავიცილოთ თავიდან ნევროზული და წონასწორობიდან იოლად გამოსული ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლის საფრთხე.

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ სააკაშვილის გამოსვლა პარლამენტში და მისი ღია განცხადება იმაზე, რომ ყველაფერს გააკეთებს ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში გასამარჯვებლად, ეს ნიშნავს მესიჯებს არა მარტო ერისა და ბერის წინაშე, არამედ დასავლელი პარტნიორების მისამართითაც, რომ ის კიდევ დიდხანს იქნება ამა თუ იმ სახითა და ფორმით ძალაუფლებაში.

ამერიკელები საქართველოს უახლოეს ისტორიას კარგად იცნობენ, კარგად იციან, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეცდომებმა ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე რომ მიიყვანა, კარგად აანალიზებენ იმის საშიშროებას, რა იქნება სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენის შემთხვევაში, ამიტომ ძალიან დროულ და გონივრულ შეტყობინებებს უგზავნიან „შადრევან პირველად“ მონათლულ მიხეილს.

„პრესაჯი ტივი ჯისთვის“ მიცემულ კომენტარში ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე საზოგადოებას შეახსენებს აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების რჩევებს, რომ არმიამ დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისი როლი და ადგილი უნდა იცოდეს, არმია უნდა იყოს აპოლიტიკური და ჯარი არ უნდა ჩაერიოს არჩევნების პროცესში რომელიმე პოლიტიკური მხარის სასარგებლოდ. ასეთი რჩევები შემთხვევითი არ არის, ამერიკას ეშინია, რომ საქართველო სააკაშვილმა სამოქალაქო დაპირისპირების საბრძოლო პოლიგონად არ აქციოს. ბაჩო ახალაიას გასამხედროებული ფორმირებების საეჭვო მოძრაობები სამეგრელოში ამის ერთ-ერთი ნიშანია. ლიბიის პრეზიდენტმა საკუთარ ხალხს ცეცხლი გაუსხნა და ცუდად დაამთავრა, რიგში სირიის პრეზიდენტია, არაბულ გაზაფხულს პუტინსაც უწინასწარმეტყველებენ. ასე რომ, მოდით, ვისაც მართლაც გიყვართ მიხეილი, ურჩიეთ მას, გაიაროს სამედიცინო შემოწმება, ვიდრე ახალ საარჩევნო მატარებელს ლოკომოტივად ჩაებმება.

# გიორგი ტუღუში: ქიმერიძე არ გახლდათ ბრალდებული“

## სახალხო დამცველი ხაშურის პოლიციაში გარდაცვლილი მამაკაცის შესახებ ახალ დეტალებს ამხელს

შალვა ჯოხაძე

**ხაშურის პოლიციაში საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი 47 წლის სოლომონ (სოსო) ქიმერიძის საქმე სახალხო დამცველმა შეისწავლა. პოლიციაში აცხადებენ, რომ მამაკაცი კიბეზე დაგორდა და გარდაიცვალა, თუმცა, მის სხეულზე არსებული დაზიანებები მოწმობს, რომ ქიმერიძეზე ძალა იხმარეს.**


გიორგი ტუღუში

28 თებერვლის ღამეს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები ხაშურის პოლიციის რაიონულ სამმართველოში იმყოფებოდნენ, რათა სამმართველოს შენობაში სოლომონ ქიმერიძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეღოთ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით ქიმერიძე სამმართველოს კიბის მოაჯირიდან გადავარდნის შედეგად სასიკვდილოდ დაშავდა.

შსს-ში ასეთი ოფიციალური განცხადება გააკეთეს:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონულ სამმართველოში, ა.წ. 27 თებერვალს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბინის ქურდობის ფაქტზე.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ხაშურის რაიონულ პოლიციაში ბრალდებულის სახით იკითხებოდა წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი, 1965 წელს დაბადებული სოლომონ გივის ძე ქიმერიძე. დაკითხვის დროს ბრალდებული სოლომონ ქიმერიძე ხაშურის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულიდან მეორე სართულზე კიბეებზე ჩამოსვლისას კიბის მოაჯირიდან გადმოვარდა და დაეცა პირველი სართულის ფოიეში, რის შედეგადაც სხეულის მრავლობითი დაზიანება მიიღო. პოლიციის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სოლომონ ქიმერიძე გადაიყვანეს ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში.

მიმდინარე წლის 28 თებერვალს სიცოცხლესთან შეუთავსებადი ტრავმების გამო, ბრალდებული სოლომონ ქიმერიძე გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში.

როგორც ხედავთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ქიმერიძე ბრალდებული იყო, თუმცა, სახალხო დამცველმა გამოააშკარავა, რომ პოლიციის შენობაში მიყვანილ ქიმერიძეს ეს სტატუსი ოფიციალურად არ ჰქონია.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს, სამმართველოს უფროსის მოადგილე ავთანდილ სამსონიძესა და სამმართველოს თანამშრომლებს გაესაუბრა. სამსონიძის თქმით, 27 თებერვალს, ნაშუადღევს, ხაშურის პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ ქვიშხეთში მომხდარი ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით, სოლომონ ქიმერიძე ხაშურის რაიონული სამმართველოს შენობაში მიიყვანეს. ქიმერიძეზე არსებობდა ინფორმაცია, რომ მან ქვიშხეთში მცხოვრები თამაზ გამგონიძის კუთვნილი ნიკელის ჩაიდანი და ალუმინის ქვაბი მოიპარა. ვინაიდან ქიმერიძისთვის ბრალის წაყენება და მისი დაკავება იმ ეტაპზე არ განხორციელებულა, ის ხაშურის რაიონული სამმართველოს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნშიც არ გაუტარებიათ.

როგორც პოლიციის ჩინოსნის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლებისათვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, ქიმერიძეს სამმართველოს მესამე სართულზე მდებარე ერთ-ერთ ოთახში გაესაუბრნენ. გასაუბრების დასრულების შემდგომ, დაახლოებით 17.25 სთ-ზე, იგი მეორე სართულზე ჩაჰყავდათ, რადგანაც მესამე სართულზე დაზარალებულს უნდა გასაუბრებოდნენ. ჩამოსვლისას ქიმერიძე მესამე სართულის კიბის მოაჯირიდან გადავარდა. ხაშურის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის თქმით, კიბეზე ჩამოსვლისას ქიმერიძეს წინ სამმართველოს თანამშრომელი მალხაზ ციყელაშვილი მიუძღოდა. არც ამ უკანასკნელს და არც სხვა თანამშრომლებს უშუალოდ გადავარდნის ფაქტი არ დაუნახავთ, თუმცა ვარაუდობენ, რომ დიდი სიმაღლის და წონის გამო, შესაძლებელია, ქიმერიძემ წონასწორობა დაკარგა და მოაჯირიდან გადავარდა.

– სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ქიმერიძე ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც, სამწუხაროდ, ის მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ავთანდილ სამსონიძის თქმით, ამ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში, 27-დან 28 თებერვლის ღამეს ჩატარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, დაიკითხნენ სამმართველოს თანამშრომლები, – აცხადებენ სახალხო დამცველის ოფისში.

საქმის დამატებითი დეტალების გარკვევის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას და მოითხოვა ინფორმაცია ქიმერიძის გარდაცვალების ფაქტთან მიმდინარე გამოძიების თაობაზე. კერძოდ, როდის და ვისი შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, დაინიშნა თუ არა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და ამჟამად რა ეტაპზეა გამოძიება.

– ქიმერიძემ სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები მიიღო მაშინ, როდესაც პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ნებისმიერი ასეთი დაზიანება ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად დამკვიდრებული სტანდარტით, წარმოშობს პრეზუმფციას, რომ შესაძლოა, პირი არაადამიანური ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი იყოს. მსგავს შემთხვევაში სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, აწარმოოს სრული, ყოველმხრივი, ობიექტური გამოძიება და წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია ხსენებული დაზიანებები. შესაბამისად, მივმართავთ გამოძიების მწარმოებელ ორგანოს, ჩაატაროს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება, რათა დადგინდეს ქიმერიძის როგორც უშუალოდ გარდაცვალების მიზეზი, ასევე ხომ არ დაექვემდებარა გარდაცვალებამდე არაადამიანურ ან სასტიკ მოპყრობას.

ამავდროულად, მოვუწოდებთ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურას, გამოძიების წარმოებისას ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რომ სოლომონ ქიმერიძე ხაშურის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში პოლიციის მიერ ყოველგვარი პროცესუალური სტატუსის გარეშე იყო „წარმოდგენილი“. ის არ გახლდათ ბრალდებული, დოკუმენტაციის მიხედვით არ იყო დაკავებული, თუმცა როგორც ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, მას ამავდროულად ფაქტობრივად შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება, – ასეთ დასკვნას აკეთებს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

ყველა, ვინც მიცვალებული ნახა, აღნიშნავს, რომ მის სხეულზე არსებული დაზიანებები კიბიდან დაგორების შედეგად გაჩენილს არ ჰგავს. სოსო ქიმერიძის ოჯახის გადასაღებად სოფელ ქვიშხეთში იმყოფებოდა გადაცემა „აკრედიტაციის გარეშეს“ ავტორი შალვა რამიშვილი, რომლის თქმითაც, ქიმერიძეს პოლიციელმა მიაკითხა, სოფელში საარყე ქვაბი დაიკარგა და შენთან შეკითხვები გვაქვსო. ეჭვი მასზე იმიტომ მიიტანეს, რომ რამდენიმე წლის წინ, ქიმერიძე ჯართის ქურდობისთვის დააკავეს და პირობითი პატიმრობაც მიუსაჯეს.

– 10 საათის შემდეგ სოსო ქიმერიძე გადარცვლილი მიასვენეს სახლში. ოჯახის წევრებს უთხრეს, ხაშურის ახალაშენებულ პოლიციაში დაბალი მოაჯირებია და იქიდან გადმოვარდაო. ერთ-ერთმა პოლიციელმა მოგვიანებით კამერასთან დამიდასტურა, რომ ინციდენტს მართლაც ჰქონდა ადგილი ხაშურის შუშებიანი პოლიციის შენობაში. ქვიშხეთში ჩასულს ამაზრზენი სიტუაცია დამხვდა. ეზოს გარშემო სამოქალაქო ტანსაცმლიანი პოლიციელები ირეოდნენ. ჭირისუფლებს ატერორებდა ვიღაც „აქტივისტი“ კაცი, რომელმაც ჩემს დანახვაზე ყვირილი დაიწყო, აქ რა გინდა, რას მოხვედიო. როგორც შემდეგ გაირკვა, ის ვიღაც მეზობელი ყოფილა, რომლის შვილიც პოლიციაში მსახურობს. გადავიღე გარდაცვლილის მეუღლე და დედა. გაჭირვებული ოჯახია, შეშინებულები არიან. ბუნებრივიცაა, სოსოს გარდაცვალებით გამოწვეულ შოკს ძალოვნების ზეწოლაც დაემატა.

აი, ასეა, მეგობრებო. შევარდნაძის შავბნელ დროს ახსენებს მიშა. პოლიციის შენობებიდან მაშინაც „ცვიოდნენ“ ადამიანები. რა შეიცვალა? არაფერი! უბრალოდ პოლიციის ის შენობები, საიდანაც „ვარდება“ ხალხი, გაშუშდა და გალამაზდა, – ამბობს შალვა რამიშვილი და ადასტურებს, რომ შენობიდან შემთხვევით „გადმოვარდნილ“ სოსო ქიმერიძის ცხედარს ცემის კვალი ეტყობა.

ქიმერიძის ოჯახის წევრები პოლიციის ვერსიას ეჭვქვეშ აყენებენ და სიმართლის დადგენას ითხოვენ. ოჯახის წევრების თქმით, გარდაცვლილს აღენიშნება მრავლობითი დაზიანებები და ჩალურჯებები, მათ შორის სახის არეში.

გარდაცვლილის ოჯახში იმყოფებოდა ყოფილი სახალხო დამცველი და ამჟამად საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ წევრი სოზარ სუბარიც.

– შეიძლება დადასტურებულად ვთქვათ, რომ ადამიანი არის ნაწამები და წამების დროს შემოაკვდათ ხელში. ლაპარაკი იმაზე, რომ საიდანღაც გადმოხტა, არის ზღაპრები, რომლისაც დღეს აღარავის სჯერა. ამიტომ ეს საქმე არის გამოსაძიებელი და სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს რეალური ექსპერტიზა, – განაცხადა სუბარმა.

# სააკაშვილს არც პრემიერობა უნდა და არც – პარლამენტის თავმჯდომარეობა

## ის ნაციონალების უფროსის რანგში დარჩება პოლიტიკაში

ნინო მეტრეველი

ქრისტიან-დემოკრატების მცდელობის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილმა არ გააკეთა განცხადება, აპირებს თუ არა პრემიერმინისტრობას და საერთოდ რა პოლიტიკური გეგმები აქვს. 2013 წლის შემდგომ მის გეგმებზე არა მხოლოდ ჩვენ ვართ დაინტერესებულები, ამერიკაში მის ბოლო ვიზიტს გასდევდა ინტერესი, რას აპირებს საქართველოს პრეზიდენტი უფლება-მოვალეობის ამოწურვის შემდეგ, პარლამენტში გამოსვლისას სააკაშვილმა ოპოზიციის ეჭვებს უფრო წაუკიდა ცეცხლი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომავალ არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვოს და 2015 წელს რომ ჰოლანდიის დონის სკოლები გვექნება, იმას ჩვენ გავხსნითო. ამის მოსმენისგან ოპოზიცია სიმწრისგან ცალ ფეხზე ახტუნავდა.

აპირებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ უმაღლეს ხელისუფლებაში დარჩენას? პრეზიდენტი რომ ვეღარ გახდება, ფაქტია. ამის უფლებას საქართველოს კონსტიტუცია არ აძლევს. მის გაპრემიერებას, ანუ პუტინიზაციას, დასავლეთი კარგი თვალით არ შეხედავს და თავადაც კარგად იცის, რომ ამით პოლიტიკურ სამარეს გაითხრის. პარლამენტის თავმჯდომარეობა და სხდომების წაყვანა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, მაინცდამაიმც მიმზიდველად არ გამოიყურება და ამის სურვილი წესით არ უნდა ჰქონდეს.

ნაციონალურ მოძრაობაში ამბობენ, რომ სააკაშვილი დიდი „ავიაციიდან“ წასვლას არ აპირებს. მეტიც, ძალაუფლების მართვის ბერკეტებს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნებს. მაგრამ რა გზით?

პარლამენტში სტუმრობისას პრეზიდენტის სხვადასხვა ფორმით გაკეთებული განცხადებები არჩევნებში გამარჯვებაზე არა მხოლოდ მოწინააღმდეგის საბრძოლო ჟინის და სულით დაცემისკენ იყო მიმართული. უფ-



რო მეტად საკუთარი პარტიის გამხნევებას ისახავდა მიზნად, ვინც რაც უნდა თქვას, მე აქ ვარ და აუცილებლად გავიმარჯვებთო. ახლა რომ გამოსულიყო და ეთქვა, აბა ბიჭებო კარგად იყავით, დიდი დემოკრატი ვარ და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქუდს ვიხურავო, არჩევნებამდე ნაციონალური მოძრაობის ბუნდლაც ალარ იქნებოდა, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა გვერდით მდიდარი ძალაა, რომელსაც გამარჯვებისკენ უჭირავს თვალი. ასეთ შემთხვევაში, ნარიყალას მწვანე შუშის კიბეებზე ნაცების გრძელი რიგი დადგებოდა.

სახელისუფლებო პარტია ერთ კაცზე, მიხეილ სააკაშვილზეა ჩამოკიდული და ეს პარლამენტში მისი ვიზიტისასაც კარგად გამოჩნდა. ოპონენტების ყველ კრიტიკას და შენიშვნას პრეზიდენტი თავად სცემდა პასუხს და, პიარის თვალსაზრისით, არცთუ ურიგოდ. დღეს ყველაზე აქტუალური კითხვა, სად იქნება სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, კიდევ კარგა ხანს იქნება დღის წესრიგში. პასუხი დამოკიდებულია საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. სწორედ ამიტომ აქვს პრეზიდენტს მთელი აქცენტი ამაზე გადატანილი და საარჩევნო კამპანიაც ერთი წლით ადრე ამიტომ დაიწყო. დღეს ნაციონალური მოძრაობის მთავარი ამოცანა საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით გამარჯვებაა, რამდენადაც ეს გადაწყვეტს, რომელი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი გახდება პრემიერმინისტრი. უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში, არავისთან დასჭირდებათ ხვეწნა, ისე აირჩევენ პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს. დიდი გამოცნობა არ უნდა, რომ 2013 წელს პრეზიდენტიც საპარლამენტო არჩევნებში განარჯვებული ძალის კანდიდატი გახდება. მაგრამ, სავარაუდოდ, არც ერთ თანამდებობას არ დაიკავებს მიხეილ სააკაშვილი და ეს არც მისთვის და არც ნაციონალური მოძრაობისთვის ტრაგედია არ იქნება.

მიხეილ სააკაშვილი იქნება იმავე პოლიტიკურ თანამდებობაზე, რაც ახლა შეთავსებით უკავია პრეზიდენტობასთან ერთად – ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. ქვეყნის პრეზიდენტი მისი პარტიის წევრი იქნება, პრემიერმინისტრიც და პარლამენტის თავმჯდომარეც, რომლებიც მისი კონტროლიდან ვერ და არც გავლენ. სააკაშვილი იქნება რუხი კარდინალი და ქვეყანა ისევ მისი სურვილებით და წესებით იცხოვრებს. მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე კი, თუ მოისურვებს, პრეზიდენტი გახდება და თუ მოესურვება – პრემიერმინისტრი.

# საქართველოს გზა გამოძიების ჩატარებას ითხოვს

ნათია ხურცილავა

„საქართველოს გზა“ სოსო ქიმერიძის გარდაცვალების ფაქტის გამოძიებასა და დამნაშავე პოლიციელების დასჯას ითხოვს.

საქართველოს გზის პარტიის წევრებმა სოსო ქიმერიძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს.

„საქართველოს გზის“ წარმომადგენელმა მამუკა ბალიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სოსო ქიმერიძის პოლიციაში გარდაცვალებასთან დაკავშირებით აშკარად იკვეთება პოლიციის თანამშრომლების ბრალეულობა.

მისი განცხადებით, ქიმერიძეს აღენიშნება სხეულზე მძიმე დაზიანებები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასზე განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, რაშიც კონკრეტული პოლიციელები არიან დამნაშავენი.

– სოსო ქიმერიძე სასტიკად არის ნაცემი, სხეულის მთელ ნაწილებზე აღენიშნება სასტიკი დაზიანება. დაზიანებული აქვს მთელი სახე. ის, რომ მას დაზიანებული აქვს სხეულის ნაწილები, სწორედ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ეს ადამიანი ნაცემია. მასზე განხორციელდა ფიზიკური ზემოქმედება, – ამბობს მამუკა ბალიაშვილი.

ბალიაშვილი მიიჩნევს, რომ უნდა მოხდეს ამ ფაქტის ობიექტური გამოძიება და დაისაჯონ დამნაშავე პოლიციელები.

– ჩვენ მოვითხოვთ, მოხდეს ობიექტური გამოძიება, რადგან სოსო ქიმერიძეს ეტყობა, რომ მის სხეულზე არის ფიზიკური ზემოქმედების კვალი, რაც ეჭვს ბადებს, რომ სწორედ პოლიციელების მიერ არის ეს სისასტიკე ჩადენილი. ამიტომ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია მოითხოვს აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავეები კანონის წინაშე დაისაჯონ, – განაცხადა პრესკონფერენციაზე მამუკა ბალიაშვილმა.

საქართველოს გზის წარმომადგენლის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიას ვერანაირად ვერ დაეთანხმება, სადაც საუბარია კიბეებიდან ქიმერიძის გადავარდნაზე.

– ის დაზიანებები, რომლებიც მას სხეულზე აღენიშნება, არანაირად არ მიუთითებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიის დამაჯერებლობაში, – აცხადებს ბალიაშვილი. ბალიაშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიას დავუჯერებთ, მაინც პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციის კონკრეტულ თანამშრომლებს, ვინაიდან დაკავებული მათ ხელში იყო და ამ დროს გარდაიცვალა.

## განმუხურთან ქართული პოლიციის საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნეს

ოკუპორებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსულმა ექვსმა პირმა 4 მარტს ღამით, ქართული პოლიციის საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნა.

ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს.

– 4 მარტს, 3 საათზე და 20 წუთზე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსულმა დაახლოებით ექვსმა უცნობმა, შეიარაღებულმა პირმა ცეცხლი გახსნა ქართული პოლიციის საგუშაგოს მიმართულე-



ბით, სოფელ განმუხურთან. თავდასხმის დროს გამოყენებული იქნა ავტომატური იარაღი და „რპგ 7“-ის ტიპის ორი ყუმბარმტყორცნი. სროლამ დაახლოებით ათი წუთი გასტანა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა. თავდამსხმელები მიიმალნენ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გმობს აღნიშნულ ქმედებას და მოუწოდებს რუსეთის საოკუპაციო ძალას აღკვეთოს და თავი შეიკავოს შეიარაღებული პროვოკაციებისგან.

**ნიუსპრესი**

## ჯონ ბასი განმუხურთან მომხდარ ინციდენტს შემაშფოთებელს უწოდებს

ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი სოფელ განმუხურთან, ქართული საგუშაგოსთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს შემაშფოთებელს უწოდებს.



ჯონ ბასი

– ქართული პოლიციის საგუშაგოზე თავდასხმის შესახებ ინფორმაციას გავეცანი. ეს ნამდვილად შემაშფოთებელია. ადმინისტრაციულ საზღვარზე ნებისმიერი ძალადობის გამოვლენა ჩვენს შეშფოთებას იწვევს. ველოდებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების ინფორმაციას, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ის, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარემ უნდა იცოდეს, რომ აუცილებელია თავშეკავება და არა ძალადობრივი ქმედებების გამოვლენა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ჯონ ბასმა.

**ნიუსპრესი**

## თეთრები“ და უმუშევართა კავშირი“ მემორანდუმს გააფორმებენ

პოლიტიკური მოძრაობა „თეთრები“ და „უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის“ დღეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ.



თეიმურაზ შაშიაშვილი

მემორანდუმი უმუშევრობის პრობლემის გადასაწყვეტად ერთობლივ საქმიანობას ითვალისწინებს.

მემორანდუმს ხელს „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი და „თეთრების“ თავმჯდომარე თეიმურაზ შაშიაშვილი მოაწერენ.

**ნიუსპრესი**

# გიორგი თარგამაძე: სააკაშვილი საჯარო დებატებს გადაეჩვია“

## რა შემთხვევაში ჩატარდება არჩევნები დემოკრატიულად

ქეთი ხომერიკი

**როგორ აფასებს „მთავარ მაფიოზად“ წოდებული თარგამაძე სააკაშვილის ყოველწლიურ მოხსენებას, მიიღო თუ არა პასუხი მთავარ კითხვაზე — როგორი იქნება სააკაშვილის პოლიტიკური მომავალი და რატომ თვლის, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაპირისპირება გარდაუვალია? „ახალ თაობას“ ქრისტიან–დემოკრატიული“ მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე ესაუბრა.**

**გიორგი თარგამაძე:**

– ამ დებატებმა აჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილი საჯარო პოლიტიკას გადაჩვეულია. სააკაშვილი არის არა მხოლოდ პრეზიდენტი, ის უნდა იყოს პოლიტიკოსიც და, როგორც ნებისმიერი მექანიზმი მისი უმოქმედობის შემთხვევაში ჟანგდება, ასე ემართება პოლიტიკოსსაც, რომელიც ღია კონკურენციაში მუდმივად არ მონაწილეობს. ყოველგვარი სუბიექტური მიკერძოების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილის, როგორც პოლიტიკური ძალის ლიდერის სისუსტის გამოვლენა იყო ის, რაც ჩვენ წინა კვირაში ვნახეთ პარლამენტში.

***– დააკონკრეტეთ, რატომ მიიჩნევთ ასე?***

– სააკაშვილის ჭკუის დარიგებები და საკმაოდ არაადეკვატური კომენტარები, რომელიც, მათ შორის, ჩემს გამოსვლას მოჰყვა, რომ თურმე მე ვარ მთავარი მაფიოზი საქართველოში და სრულიად გაუგებარი რეპლიკები ჩვენ მიმართ, რომლებიც, მართალია, ჩემში ღიმილს იწვევდა, მაფიქრებინებს ასე და ბევრ ადამიანს, მათ შორის, სააკაშვილის ალბათ უკვე ყოფილ მომხრეებსაც გაუჩნდათ კითხვები ამ ადამიანისა და მისი პოლიტიკური გუნდის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. ძალიან დიდი ფანტაზია უნდა გქონდეს ადამიანს, მაგალითად, ჩემ საწინააღმდეგოდ ეს ეპითეტი რომ გამოიყენო მაფიოზი, მთავარი მაფიოზი. კარგი, ამას თავი დავანებოთ. თავად სააკაშვილის ჭკუის დარიგებები ჩვენი ან სხვა ოპოზიციური ძალების მიმართ, რომ რატომ არ ვართ ისეთი ძლიერები და ა.შ. არის თავად სააკაშვილის შინაგანი კომპლექსის გამოვლენა, რადგან სააკაშვილმა თავად შექმნა მონსტრი ,,ნაციონალური მოძრაობის“ სახით და დღეს ის მის მიერვე შექმნილი მონსტრის მძევალია.

***– ფიქრობთ, სააკაშვილი თავისი გარემოცვის მძევალია?***

– ამ შემთხვევაში მხოლოდ გარემოცვას არ ვგულისხმობ, აი, მთელი ის მოვლენა, რასაც ჰქვია სახელისუფლებო ვერტიკალი, რომელიც მთლიანად არის შერწყმული ნაციონალების ელიტასთან და ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემა თავად სააკაშვილისა და ,,ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მომავლის. იცით, რატომ ამოვარჩიეთ მთავარ სტრატეგიულ სამიზნედ სააკაშვილის კუთხეში მიმწყვდევა, რათა მას გაეცა პასუხი ან დემონსტრაციულად უპასუხოდ დაეტოვებინა თემა მის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით? იმიტომ რომ ამაზე დგას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მომავლის პერსპექტივა. მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჯანსაღ და კონკურენტულ გარემოში ჩატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სააკაშვილი თავის საპრეზიდენტო მონოპოლისტურ უფლებამოსილებასა და ძალაუფლებას არ გამოიყენებს პოლიტიკურ მოედანზე ,,ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ. აი, ესაა ზუსტად საქმე და, როდესაც სააკაშვილი საუბრობს იმაზე, რომ ქდმ რატომ ვერ ვართ თურმე ისეთი ძლიერები, რომ არჩევნების მეშვეობით დავამარცხოთ მისი ,,ნაციონალური მოძრაობა“, სინამდვილეში მის მიერ პასუხის გაუცემლობა ქდმ-ს მიერ დასმულ ამ შეკითხვაზე არის სწორედ დემონსტრირება ,,ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი, როგორც ამ პარტიის ლიდერის სისუსტისა. სააკაშვილი რომ ვერ ახერხებს, მის მომავალთან დაკავშირებით უფრო ნათელი პასუხი მისცეს ქართულ საზოგადოებას, ჩვენ და ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, რომლებიც ამ პასუხს შუაღამემდე ელოდნენ, მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილი ხვდება, რომ მან, როგორც პოლიტიკური პარტიის ლიდერმა, 9 წლის განმავლობაში ვერ ააშენა ისეთი პარტია, ვერ შექმნა ისეთი პოლიტიკური წინაპირობები ქვეყანაში, რომ ამ პარტიას მისი, როგორც პრეზიდენტის სტატუსის მატარებელი კაცის ლიდერობის გარეშე ჰქონდეს შანსი, სამართლიან არჩევნებში მიაღწიოს გამარჯვებას. აი, სწორედ გუშინდელი დღეა იმის ნათელი დადასტურება, რამდენად სუსტი და უსუსურია ,,ნაციონალური მოძრაობა“.

***– და სააკაშვილის განცხადება – არჩევნებში ნაციონალების გასამარჯვებლად ყველაფერს გავაკეთებო, ნიშნავს თუ არა იმას, რომ პენსიაზე არც ის აპირებს გასვლას?***



გიორგი თარგამაძე

– მაინც ბუნდოვანია მისი ეს განცხადება. ჩვენ იმიტომ ვცდილობდით, ახლა მიგვეღო ამაზე ნათელი პასუხი, რომ საარჩევნო კამპანია ნელ-ნელა ტემპს კრეფს და ჩვენს ინტერესებში შედის, ეს პოლიტიკური პროცესი იყოს მაქსიმალურად ჯანსაღი და დემოკრატიული. სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ ჩვენს თავში ვართ დარწმუნებული და ვინც არ არის თავის თავში დარწმუნებული, იმას არ სჭირდება კონკურენტული გარემო. ვისაც ეშინია ამ კონკურენციის, ის ეძებს სხვა საშუალებებს, რომ თავი გამარჯვებულად გამოაცხადოს. ამ შემთხვევაში სააკაშვილი ხვდება, რომ თუკი ის ქვეყნის დემოკრატიულ მომავალზე ორიენტირებული პრეზიდენტის ფუნქციის შესრულებას დაიწყებს, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ,,ნაციონალური მოძრაობაც“ უნდა ჩააყენოს ისეთივე პირობებში, როგორშიც სხვა პოლიტიკური ძალები. აი, ეს კი ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად ნაციონალების ხელში თავმოყრილი უზარმაზარი ფინანსური თუ სხვა რესურსებისა, ,,ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობით ვერ მოვა ხელისუფლებაში და, როცა სააკაშვილი ამას არ აკეთებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მის პრიორიტეტებში, მათ შორის, პიროვნულში, მის პრეზიდენტობაზე უფრო მნიშვნელოვანი ,,ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობაა, როგორც ბერკეტი და იარაღი ძალაუფლების შენარჩუნებისა და მისი ხელისუფლებაში სხვადასხვა ფორმით ყოფნის გახანგრძლივებისა.

***– პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს უმიზნებს?***

– ჩვენ შეგვიძლია, სხვადასხვა ვერსიაზე ვისაუბროთ, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი იქნება სპეკულაციები. მე, მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილი დროს წელავს. დიახ, დროს წელავს, როგორც მინიმუმ საპარლამენტო არჩევნებამდე იმისთვის, რომ ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ სახით მიაღწიოს არჩევნებზე და მიიღოს ის შედეგი, რომელიც მისი ინტერესებში შედის.

***– წინააღმდეგ შემთხვევაში ,,ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა დაიწყება?***

– ყოველ შემთხვევაში, ბზარი რომ არ გაუჩნდეს და ეს ვითარება ძალიან ჰგავს ,,მოქალაქეთა კავშირის“ 2000-2001 წლის პერიოდს. ეს გარდაუვლად მოხდება თავად ,,ნაციონალურ მოძრაობაშიც“. უბრალოდ, ჩვენ არ გვინდა, რომ ეს იყოს ქართული პოლიტიკის მთავარი ინტრიგა, თუმცა, ეს მოხდება. ჩვენი ინტერესი ის კი არ არის, ,,ნაციონალურ მოძრაობაში“ რა დაპირისპირებები წავა, ჩვენი ინტერესია, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი წავიდეს.

***– და წავა კი ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი? სააკაშვილის მიზანი ,,ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნებში გამარჯვებაა და არჩევნების გაყალბებას მოერიდება?***

– შეიძლება სააკაშვილმა არ თქვას და არც იტყვის, გაყალბებით გავაკეთებ ამასო, მაგრამ თავად ის ფაქტორი, რასაც წარმოადგენს მოქმედი პრეზიდენტის პირობებში ,,ნაციონალური მოძრაობა“, რა თქმა უნდა, უკვე არაჯანსაღ და არადემოკრატიულ გარემოს ქმნის სხვა პოლიტიკური ძალებისთვის არჩევნებში. სხვათა შორის, იმ არაადეკვატური გამონათქვამების ფონზე დებატებს თავისი კონკრეტული შედეგები მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის მაინც მოჰყვა. ამის ნათელი მაგალითია გამოხმაურება და პასუხი ჩვენ მიერ ქართველი გლეხებისა და ფერმერების პრობლემების თაობაზე დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. ეს უკავშირდება ჰიბრიდული სიმინდის თესლის წარუმატებელ ექსპერიმენტს, სადაც პრეზიდენტმა ჩვენ საპასუხოდ თქვა, რომ ეს საკითხი გადაწყდება. ეს ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანია მიღწევაა და, იმედი გვაქვს, პრეზიდენტის სიტყვას მთავრობა ზუსტად ისე გაიგებს, როგორც ითქვა დებატების დროს, თუ არადა, ამას უახლოეს დღეებში შევახსენებთ. ასევე ვთვლი, რომ გარკვეულწილად ყინული დაიძრა დემოგრაფიის საკითხში, რადგან სიტყვა „დემოგრაფია“ და მრავალშვილიანი ოჯახი საერთოდ არ არსებობდა ნაციონალების ლექსიკაში, მაგრამ მესამე და მეოთხე შვილზე ერთჯერადი დახმარების გაწევა არ არის საკმარისი და ძალიან ცოტააა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. თუ ჩვენ გვინდა, ბიძგი მივცეთ ახალგაზრდა ოჯახების შექმნასა და გამრავლებას, მათ დასაქმებას უნდა შევუწყოთ ხელი, ისევე, როგორც მათ განათლებას. განათლება ვახსენეთ და სიტყვები, რომლებიც მან იხმარა მიხეილ ალექსიძის მიმართ – ხულიგანი და კრიმინალი – დანაშაულებრივი გამონათქვამი იყო. ეს ბავშვი ვიცი, ვინც არის, კარგად ვიცნობ, მის მშობლებსაც ვიცნობ და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ის არის უაღრესად პატიოსანი, ნიჭიერი, კარგად აღზრდილი ახალგაზრდა, რომელსაც ცხოვრებაში დიდი პერსპექტივა აქვს. სააკაშვილმა კი მასსა და მის მშობლებს კი არ მიაყენა შეურაცხყოფა ამ გამონათქვამებით, არამედ – თავის თავს. გარდა ამისა, სააკაშვილისთვის შეიძლება ჰილარი კლინტონი ბიცოლა და სარკოზი ბიძიაა ასე აგდებულად მოსახსენიებელი, მაგრამ ერთი გახლავთ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს სახელმწიფო მდივანი და მეორე – ევროკავშირის ასევე ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ქვეყნის პრეზიდენტი. ამ დებატებმა აჩვენა, რამდენად არაადეკვატურია ეს პოლიტიკური ძალა და მისი ლიდერი იმ ახალი გამოწვევების მიმართ, რომლებიც ამ ქვეყანას აქვს.

***– ამ გამონათქვამით ხაზი გაუსვა, რომ უცხოელების აზრი არ აინტერესებს, არ ითვალისწინებს და ყველაფერს თავად წყვეტს?***

– მოდით, ნუ გავაზვიადებთ, ამ დებატების დროს სააკაშვილის ზოგიერთი არცთუ ადეკვატური გამონათქვამის მიხედვით რეალურად რაზე აქვს მას რეაქცია. მე მგონია, სწორედაც რომ ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ნაწილი, რაზეც რეაგირებს სააკაშვილი, უცხოეთის რეაქცია და მოლოდინებია, რომელიც მათ გააჩნიათ საქართველოსთან, საპარლამენტო არჩევნებთან და კონკრეტულად სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, თუკი ოდნავი საღი აზრი არის შერჩენილი მმართველ პოლიტიკურ ბირთვში, ხვდებიან, რომ დასავლეთის მხარდაჭერისაგან იზოლირებული საქართველო დიდხანს ვერ გაძლებს რუსული ორბიტის მაგნიტისაგან თავის დაღწევისაგან.

***– ითქვა, სააკაშვილი რუსეთის ბანაკში გადადისო... ისე, რატომ გადაწყვიტა რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმება და, საერთოდაც, როგორ აფასებთ ამ ინიციატივას?***

– ჯერ ერთი, რატომლაც არავინ იხსენებს, მაგრამ ჩვენ მაინც გავიხსენოთ, რომ რუსეთთან ნაწილობრივ ეს რეჟიმი უკვე მოქმედებს, თუმცა, მოქმედებს რუსეთის ფედერაციის საქართველოს მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების მოქალაქეებისთვის. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ეს რეჟიმი გაფართოვდება და მასში მოექცევა რუსეთის ფედერაციის ყველა მოქალაქე. საუბრები იმაზე, რომ ეს რუსულ ინვესტიციებს მოიზიდავს, არასერიოზულია, რადგან, რაც მოსაზიდი და მოსასვლელი იყო, მოსულიც არის და ლამის ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსული სახელმწიფო ფულის ხელშია, თუმცა, მთლიანობაში ეს გადაწყვეტილება, მიმაჩნია, რომ მაინც გამართლებულია. რატომ გადაწყვიტა? რუსეთის მოქმედებების ფონზე, რომელიც ერთ ნაბიჯსაც კი არ დგამს საქართველოს სუვერენული უფლებების აღიარების მიმართულებით, არაფერს აკეთებს საერთაშორისო ძალისხმევის საპასუხოდ, რომ დარეგულირდეს ურთიერთობები და აქვს ასეთი ხისტი და აგრესიული დამოკიდებულება ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის მიმართ, ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება გარკვეულ პოზიტიურ ჟესტად იქნება აღქმული საქართველოს მხრიდან, თუნდაც კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში, ანუ საქართველო ამჟღავნებს კონსტრუქციულობას, ღიაობას, რუსეთი კი – კვლავ აგრესიას. ვფიქრობ, ეს არაფერს დაგვიშავებს, მეტიც, პოზიტივიც კი შეუძლია მოგვიტანოს.

# ელისო ვირსალაძე იუბილარია

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე იუბილარია. მართალია ქალებს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ ცნობილია ფაქტია, რომ მსოფლიოში პოპულარულ ქართველ პიანისტს 70 წელი 14 სექტემბერს შეუსრულდება. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, კლასიკური მუსიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით, მთელ საქართველოში პიანისტის იუბილესადმი მიძღვნილი საკონცერტო სერიების ციკლი გაიმართება.

პირველი კონცერტი 5 მარტს ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრის მუსიკალურ დარბაზშია დაგეგმილი, სადაც ელისო ვირსალაძის საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი შედგება. ღონისძიების ორგანიზატორები ქუთაისის მერია, ისრაელის საელჩო საქართველოში და თიბისი ბანკი არიან.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით, სოლისტები – ირმა გიგანი (საქართველო) და ადი ნეიჰაუზი (ისრაელი). საკონცერტო პროგრამაშია მოცარტის უვერტიურა ოპერიდან „ფიგაროს ქორწინება“, ასევე შოპენის და რახმანინოვის საფორტეპიანო ნაწარმოებები.

– 2012 წელი თანამედროვეობის გამოჩენილი ქართველი მუსიკოსის – ელისო ვირსალაძის საიუბილეო წელია. ამ თარიღის აღსანიშნავად, მთელი წლის მანძილზე, „კლასიკური მუსიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გეგმავს მუსიკალურ ღონისძიებებს ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოსების მონაწილეობით. მეტად მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ქუთაისში, დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე ქალაქში იწყება საიუბილეო კონცერტების ციკლი, – ამბობს კონცერტის ერთ-ერთი თანაორგანიზატორი ჯაბა სიხარულიძე.



ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე ანასტასია ვირსალაძის შვილიშვილი და მოწაფეა. პირველი მუსიკალური გაკვეთილები მომავალმა პიანისტმა სწორედ ბებიისგან მიიღო. მან თბილისის კონსერვატორია დაამთავრა. ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორ ზაკის ხელმძღვანელობით. მისმა საშემსრულებლო ხელოვნებამ ქართველ პიანისტს არაერთი ჯილდო მოუტანა. იგი მსოფლიო ახალგაზრდობის ვენის მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი გახდა, მოსკოვის საკავშირო კონკურსსა და პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მესამე პრემიები მოიპოვა, ხოლო შუმანის სახელობის პიანისტთა კონკურსზე პირველი პრემია მიენიჭა.

საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, ორი წლის წინ პიანისტმა თელავში კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ქება ვაზისა“ აღადგინა. მის წამოწყებას მხარი აქტიურად დაუჭირეს საქართველოს პრეზიდენტმა და კულტურის მინისტრმა. ყოველწლიურ ფესტივალზე მაღალი დონის შემსრულებლები მთელ მსოფლიოდან ჩამოდიან. მის ფარგლებში ახალგაზრდა მუსიკოსებისა და შემსრულებლებისთვის ღია გაკვეთილები და მასტერკლასები ტარდება. მუსიკოსები, საქართველოს ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ყოველწლიურად იკრიბებიან თელავში, რათა მოუსმინონ საუკეთესო შემსრულებლებს, ურთიერთობა გააღრმაონ სხვადასხვა მუსიკალურ წრეებთან და გაიღრმაონ საშემსრულებლო თუ პედაგოგიური უნარჩვევები. მსმენელებს კი საშუალება აქვთ გაეცნონ პროფესიონალი მუსიკოსების შემოქმედებას. ფესტივალი „ქება ვაზისა“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარდა და პირველივე წლიდან ძალიან პოპულარული და წარმატებული გახდა, რაც საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამებითაა განპირობებული. 90-იან წლებში საქართველოში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების გამო ფესტივალი შეწყდა და „ქება ვაზისა“ 1994 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა. სპეციალურად ფესტივალისთვის თელავში მოხდა ინფრასტრუქტურის მოწყობა, ძირითად საფესტივალო სივრცეს თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი და თელავის ორი სამუსიკო სკოლა წარმოადგენს. თელავის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფში შედიან ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ელისო ვირსალაძე, ფესტივალის დირექტორი – თამარ ლორთქიფანიძე, ფესტივალის საკონცერტო მიმართულების მენეჯერი – მეგი თოფურიძე და ფესტივალის საგანმანათლებლო მიმართულების მენეჯერი მაია კოკოჩაშვილი.

ელისო ვირსალაძე საქართველოს სახალხო არტისტია. მისმა ხელოვნებამ ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

– ელისო ვირსალაძის შესრულება გამოირჩევა მაღალი მუსიკალური კულტურით, ვირტუოზული ტექნიკითა და არტისტიზმით. მისი რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანია. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ მისი იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტებში მივიღებ მონაწილეობას და ეგვენი მიქელაძის სახელობის ერნოვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ქუთაისელი მსმენელისთვის ვიქნებით პირველი მერცხლები და ამ გამორჩეული პიანისტის იუბილეს მახარობლები. მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი წამოწყებაა, გამორჩეული და საინტერესო პროგრამაა, არაჩვეულებრივი მუსიკოსები არიან ჩართული და არც მთავარია, ეს საიუბილეო კონცერტები მთელ საქართველოში ჩატარდება, – განაცხადა ნიკოლოზ რაჭველმა.

ელისო ვირსალაძე უკვე 40 წელზე მეტია მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგი და მიუნხენის (გერმანია) უმაღლესი სამუსიკო სკოლის პროფესორია. საიუბილეო საკონცერტო სერიების დაწყებას იუბილარი პიანისტი თავად ვერ დაესწრება, რადგან მას საკმაოდ გადატვირთული საგასტროლო კონცერტები აქვს როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ქალბატონი ელისო ვირსალაძის საიუბილეო საკონცერტო სერიების გახსნის პატივი მხვდა წილად. ქუთაისში დაგეგმილი კონცერტისთვის განსაკუთრებულად ვემზადები. ეს ადამიანი ძალიან მიყვარს და ვაფასებ, როგორც გამორჩეულ შემოქმედს. მიმაჩნია, რომ ქალბატონი ელისო თანამედროვე შემსრულებლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიანისტია. მისი რეპერტუერი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი მოცარტის, ბეთჰოვენის, შუმანის, შოპენის, პროკოფიევის მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტატორია. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც. პირველ საიუბილეო კონცერტზე ჩვენ შევასრულებთ მოცარტის, შოპენის და რახმანინოვის ნაწარმოებებს, – აღნიშნა პიანისტმა ირმა გიგანმა.

ელისო ვირსალაძე რეგულარულად მართავს კონცერტებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ის წარმატებით გამოდის ლონდონის, მილანის, რომის, პარიზის, ლისაბონის, ბერლინის საკონცერტო სცენებზე. დუეტის შემადგენლობაში ნატალია გუტმანთან (ვენა, ბერლინი, ბრიუსელი, მადრიდი, მიუნჰენი, მილანი, ჟენევა, ლოზანა), კამერული ანსამბლების შემადგენლობაში და ისეთი ორკესტრების სოლისტის რანგში, როგორიცაა პეტერბურგის ფილარმონიისა და სამეფო ფილარმონიული ორკესტრები.

ელისო ვირსალაძე საგასტროლო ტურნეებით გამოდის როგორც ევროპაში, ასევე ამერიკასა და იაპონიაში. ის აქტიურად თანამშრომლობს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, შვეიცარიისა, ამერიკის და სხვა ქვეყნების წამყვან ორკესტრებთან და დირიჟორებთან (რუდოლფ ბარშაი, კიროლ კონდრაშინი, რიკარდო მუტი, კურტ ზანდერლინგი, ვოლფგანგ ზავალისი, ევგენი სვეტლანოვი, იური ტემირკანოვი, ანტონი ბიტი). კომპანია „ლაივ კლასიკის“ მიერ გამოცემულია ელისო ვირსალაძის შემოქმედების მომცველი მრავალი ჩანაწერი.

მათთვის, ვინც ვერ ახერხებს ქუთაისში კონცერტზე დასწრებას, ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ღია რეპეტიცია დაიგეგმა. თავად იუბილარი პიანისტი კი საქართველოში შემოდგომაზე ჩამოვა, რომ მის მიერ ორგანიზებულ თელავის კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს წარუძღვეს.

# კათოლიკობის ისტორიას წიგნი მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიქელ თამარაშვილის წიგნის რეპრინტის „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც პრეზენტაციაზე კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ავტორის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავთან დაკავშირებით.

– ამ წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ გავრცელდა კათოლიკობა საქართველოში, როგორ და რა პირობით მოღვაწეობდნენ კათოლიკე მოძღვრები, რამდენად ნაყოფიერი იყო მათი მოღვაწეობა და საქართველოში კათოლიკობის ისტორიასთან დაკავშირებული XIII – XX საუკუნეებში განვითარებული სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. წიგნში წარმოდგენილია ისტორიული საბუთები თავისი განმარტებებით, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

წიგნის პრეზენტაციას მიწვეულ სტუმრებთან ერთად მეუფე გაბრიელი და მეუფე ჯუზეპე პაზოტო ესწრებოდნენ.

– ეს წიგნი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ადრეც, როცა პირველად გამოიცა, რადგან მასში დაწვრილებით არის აღწერილი კათოლიკობის ისტორია საქართველოში. წიგნის ავტორი მიქელ თამარაშვილი ახალციხეში დაიბადა. სასულიერო განათლება ევროპაში მიიღო, თბილისში კი ის კათოლიკური ეკლესიის მღვდლად განაწესეს. აშკარად გამოხატული პროქართული ორიენტაციის გამო, მისი მოღვაწეობა მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის ცარისტული რეჟიმისთვის, ამიტომ მას მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვეს და დედაქალაქიდან გააძევეს. მან საქართველო დატოვა და იტალიაში გაემგზავრა, სადაც რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი გახდა. მისი ჩანაწერები და კვლევები დღესაც საკმაოდ აქტუალურია ჩვენი ისტორიისთვის და ჩვენი მეცნიერებისთვის, რადგან ყველამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რა მოხდა, როგორ მოხდა, რომ ისტორიულად და დოკუმენტური წყაროებით გვქონდეს მყარი საფუძველი მომავლისთვის, – აღნიშნა პრეზენტაციაზე კათოლიკური ეკლესიის მთავარეპისკოპოსმა საქართველოში ჯუზეპე პაზოტომ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-55-58-62, 592-49-85-55

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით. შესაძლებელია განვადება. ფასი 30.000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




ცფ,ფურჯპტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

## უფუნ[ფლტ,ტ,ბ

● მოგიხსნით ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ოჯახურ კონფლიქტებს, დეპრესიას, ლოთობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას. ტელ: 599-49-84-23.

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 2 დოლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568 -65-74-86.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# არმიამ და თსუ-მ ისევ იჩხუბეს

### შსს _ დინამო 87:74
(15:13, 21:18, 18:21, 33:22)

**შსს:** მუდი, ნიკოლაძე (5ქ), ლონდარიძე (2ქ), თენიეშვილი (2ქ), ტაბსი (10ქ), ბლერი (41), ბოქოლიშვილი (3ქ), სმიტი (15ქ,9მ), ტრეპალოვაცი (6ქ,13მ), ბექაური ლეავა (3ქ), სანაძე (16ქ), მარხვაშვილი (1ქ), კეიდია (2ქ), ალხანაიძე, წივწივაძე (3ქ), ზესევიჩი (18ქ), ოლუიჩი (14), კარტერი (17ქ,7მ7პ)

სუპერლიგის მე-5 ტურის ცენტრალურ მატჩში ძალოვნებმა იძალეს და მეტოქე 87:74 დაამარცხეს.

მატჩის საწყის ათწუთეულში ოდნავი უპირატესობა შსს აკადემიამ მოიპოვა, თუმცა, მეორე პერიოდში კიდევ უფრო იაქტიურა და დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა – 36:31

მესამე მეოთხედის შუაში „დინამომ" მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, რის შემდეგ დასკვნით ათწუთეულამდე გუნდები ქულა-ქულაში მისდევდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ შსს დაწინაურდა – 52:50.

გადამწყვეტი გამოდგა ბოლო დასკვნითი პერიოდი, რომელიც ძალიან დაძაბული და ემოციური იყო. მე-6 წუთზე ძალოვნებმა 5-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და წინ 66:61 გავიდნენ. ამ მომენტში შსს-მ მეტოქე საბოლოოდ გატეხა და მატჩის ბოლომდე უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

შსს-ს 41 ქულით დისკვალიფიკაციამოხდილმა ლარი ბლერმა ულიდერა. აღსანიშნავია, რომ ბლერმა მიმდინარე სეზონში თავისივე მიერ დამყარებული სარეკორდო შედეგი გაიმეორა.

„დინამოს" მხრიდან ალექსანდრე ზესევიჩი გამოირჩა, რომელმაც საკუთარ გუნდს 18 ქულა შესძინა.

### მატჩის შემდეგ

**გიორგოს კეცელიდისი, შსს აკადემიის მწვრთნელი:**

– საკმაოდ რთული თამაში იყო ჩვენთვის. „დინამო" ძალიან კარგი გუნდია და მათი მწვრთნელი კი, უპირველესად ყოვლისა, ძალიან კარგია ადამიანი, შემდეგ კი – წარმატებული მწვრთნელი. იყო რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც ეს მატჩი რთული იყო ჩვენთვის. თავისთავად გავლენას ახდენდა ის ფაქტი, რომ წავაგეთ წინა ორი თამაში, მაგრამ ჩვენ შევასრულეთ მთავარი ამოცანა და კარგად ვითამაშეთ დაცვაში. შესანიშნავად ვითამაშეთ თავდასხმაშიც. როგორც ხედავთ, ლარი ბლერს ბრწყინვალე შედეგი აქვს.

**ირაკლი ხოშტარია, დინამოს მწვრთნელი:**



– პირველ რიგში, მოვულოცავ მოწინააღმდეგე გუნდს გამარჯვებას, მის მთავარ მწვრთნელს და მთავარ მოთამაშეს, ლარი ბლერს, რომელმაც ძალიან ბევრი პრობლემა შეგვიქმა სხვა მოთამაშეებთან ერთად. თამაშის წინ ვეუბნებოდი ბიჭებს, რომ დღეს გვქონდა ყველაზე რთული თამაში, რადგან შსს აკადემია ჩვენი უშუალო კონკურენტია. მომავლისთვის გავითვალისწინებ იმ შეცდომებს, რაც დღეს დავუშვით. ეს ეხება დაცვას, რადგანაც მასზე მთავარი ყურადღება გვაქვს გადატანილი. აგრეთვე საშინლად წავაგეთ ფარიც. დეტალურად გავეცნობი მატჩის ვიდეოს და უფრო მეცოდინება დღევანდელი წაგების მიზეზი. დღევანდელ შეხვედრაში გადამეტებული ემოციაც გვქონდა, თუმცა, მე იმიტომ ვარ მწვრთნელი, რომ ეს ყველაფერი დავალაგო და გამოვასწორო. მწვრთნელს ვულოცავ კიდევ ერთხელ და ვიტყვი, რომ სასიამოვნოა ასეთი დონის მწვრთნელთან ჩემი პაექრობა. სიამოვნებით შევხვდებოდი შსს აკადემიის გუნდს ფლეიოფში.

**ლარი ბლერი:**

– უპირველესად ყოვლისა, მსურს, პატისცემა გამოვხატო მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელის მიმართ, რომელმაც შესანიშნავად ათამაშა თავისი გუნდი. ამ ყველაფერმა გვიბიძგა, კიდევ უფრო კარგად გვეთამაშა და მაქსიმალურად დავხარჯულიყავით. ჩინებულად ვიასპარეზეთ დაცვაში და ძალიან კარგი გუნდური თამაში ვაჩვენეთ. მსურს, მადლობა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივრებს, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან ყველა თამაშზე. ჩვენი მწვრთნელი ძალიან კარგ სათამაშო სტრატეგიას გვთავაზობს და, თუ ყველაფერი ისე შევასრულეთ, როგორც დღეს, აუცილებლად მივაღწევთ წარმატებას. ასევე მინდა გამოვხატო ჩემი პატივისცემა სუპერლიგაში მონაწილე ყველა გუნდის მწვრთნელის მიმართ.

**მილან ოულიჩი:**

– კარგი თამაში იყო, მაგრამ ძალიან ბევრი სულელური შეცდომა დავუშვით. ვფიქრობ, ჩვენ ბევრად მეტი შეგვიძლია და აუცილებლად გამოვასწორებთ ამ ხარვეზებს. მოხარული ვიქნები, თუ კიდევ შევძლებთ ამ გუნდთან თამაშს და ბევრად უკეთ წარმოვაჩენთ ჩვენს თავს.

### ქუთაისი _ ოლიმპი 90:84
(25:12, 24:27, 16:24, 25:21)

**ქუთაისი:** ფაშაევი (2), ბაბუნაშვილი (12), დიდია (17 ქ, 8 მ), ცეკვავა (12 ქ, 9 პ), დავით ბარბაქაძე (17), გიორგი ბარბაქაძე (18), კოღუაშვილი, მათიაშვილი (12ქ, 9 პ).

**ოლიმპი:** გამყრელიძე (20 ქ, 10 პ), გულისაბედაშვილი (3), მილუტინოვიჩი (2), სლიუკა (17), მიშა ბერიშვილი (17), ტუტუსი (11), ტოდოროვიჩი (11 ქ, 10 მ), ჰოგერი (3)

თამაშის დებიუტშივე ქუთათურები 13:2 დაწინაურდნენ. საერთოდ, მატჩის პირველ ნახევარში ქუთაისელები მაღალი შედეგიანობით ირჯებოდნენ – უსტიაშვილის მიერ არჩეულმა ტაქტიკამ, სწრაფმა და ხისტმა თამაშმა, მთლიანობაში გაამართლა.

პირველ პერიოდში 25:12-ით გამარჯვების შემდეგ ქუთათურები მცირედით მოდუნდნენ და მეტოქემაც ოთხ ქულამდე დაიყვანა სხვაობა. თუმცა, ცოტა ხანში „ქუთაისი" კვლავ ორნიშნაციფრიანი უპირატესობით გაიჭრა წინ.

მე-2 ტაიმი უკვე „ოლიმპის" უპირატესობით დაიწყო. მასპინძელთათვის თავსატეხად იქცა სლიუკას შეჩერება, რომელიც სამქულიანი პერიმეტრიდან უმოწყალოდ ბომბავდა მეტოქის კალათს. მას მხარი დიდებულად აუბა მიშა ბერიშვილმაც, რომელმაც ამ პერიოდში 10 ქულა ჩააგდო და მისი დამსახურება გახლავთ ის, რომ „ოლიმპმა" სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

მე-3 პერიოდის დასრულებამდე 20 წამით ადრე ნიკოლა ტუტუსმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო – 63:63, მაგრამ დარჩენილ დროში გიორგი ბარბაქაძემაც ჩააგდო და თავისი გუნდი 2 ქულით წინ გაიყვანა.

დასკვნით პერიოდში წინ სულ მასპინძლები იყვნენ. ქუთათურები ერთ მომენტში 11 ქულითაც კი გავიდნენ წინ, მაგრამ „ოლიმპმა" ისევ შეამცირა სხვაობა. მატჩის ბედი კი უკანასკნელ წამებზე გადაწყდა, როდესაც ანგარიში იყო 87:84 მასპინძელთა სასარგებლოდ. ამ დროს შეტევაში მყოფმა ტოდოროვიჩმა ფარქვეშიდან ვერ ჩააგდო, არადა, წესით, ზემოდან უნდა მოეთავსებინა. დარჩენილ დროში თბილისელებმა ტაქტიკური ფოლების ხერხს მიმართეს, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია.

### თსუ _ არმია 56:118
(7:27, 15:28, 16:32, 18:31)

**თსუ:** თავამაიშვილი (2ქ), ნინიაშვილი, ჩიტაშვილი (15ქ), ხიზანიშვილი (13ქ), შერმადინი (4ქ), ზ.მაისურაძე, ჩქარეული (6ქ), ბაქრაძე (7ქ), ჩიკვილაძე, ვ.ბერუაშვილი (9ქ)

**არმია:** რიჩარდსონი (13ქ), ბაბიაშვილი (10ქ), ბოისა (16ქ,9პ), მინაშვილი (10ქ,10მ), უგრეხელიძე (8ქ), კვიმსაძე (7ქ,9მ), ტომასი (19ქ,7მ), ათანელიშვილი (16ქ), შელბომი (4ქ), დიაზი (8ქ), საყვარელიძე (1ქ), შარაბიძე (6ქ)

როგორც პირველი წრის მატჩში, გუნდებმა კიდევ ერთხელ იჩხუბეს მატჩის მსვლელობისას და ამჯერადაც კინკლაობის წამომწყებთან ერთად მოედნიდან სათადარიგოთა სკამის კალათბურთელები იქნენ გაძევებული. თუმცა, ამჯერად – მხოლოდ სტუდენტების. ცხადია, მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში 5 კალათბურთელის ამარა დარჩენილ თსუ-ს წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდა და 62 ქულით დამარცხდა 56:118. არმიელებმა კი შსს-ს მიერ ნაჩვენები სეზონის სარეკორდო შედეგი, 117 ქულა მოხსნეს.

არმიელებს არც თავიდან გასჭირვებიათ, მატჩი მათი უპირატესობით წარიმართა, რომელმაც საწყისს მეოთხედშივე 20-ქულიან სხვაობას მიაღწია – 27:7. ხსენებული ინციდენტი კი მეორე პერიოდის მიწურულს მოხდა. „არმიის" კალათბურთელმა ჯერემი რიჩარდსონმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თსუ-ს მოთამაშე ვახტანგ ჩქარეულს, რომელსაც თავისი თანაგუნდელი ბექა ჩიკვილაძე გამოესარჩლა. ჩიკვილაძესა და რიჩარდსონის ფიზიკურ დაპირისპირებას მოედანზე თსუ-ს 4 სათადარიგო მოთამაშის შევარდნა მოჰყვა. კალათბურთის ოფიციალური წესების 39.1.2 პუნქტის მიხედვით, თსუ-ს სათადარიგო მოთამაშეები

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

### ფეხბურთი

#### ინგლისი. პრემიერლიგა

ლივერპული-არსენალი ............... 1:2
ბლექბერნი-ასტონ ვილა ............. 1:1
ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი ............... 1:0
ქპრ-ევერტონი ........................ 1:1
სიტი-ბოლტონი ........................ 2:0
სტოკი-ნორვიჩი ........................ 1:0
უიგანი-სუონსი ......................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 21 | 3 | 3 | 69:19 | 66 |
| 2.მანჩესტერი | 26 | 19 | 4 | 3 | 63:26 | 61 |
| 3.ტოტენჰემი | 25 | 16 | 4 | 5 | 51:30 | 52 |
| 4.არსენალი | 27 | 15 | 4 | 8 | 55:38 | 49 |
| 5.ჩელსი | 27 | 13 | 7 | 7 | 47:32 | 46 |
| 6.ნიუკასლი | 26 | 12 | 7 | 7 | 38:38 | 43 |
| 7.ლივერპული | 25 | 10 | 8 | 7 | 30:25 | 38 |
| 8.ნორვიჩი | 27 | 9 | 8 | 10 | 38:44 | 35 |
| 9.ევერტონი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:28 | 34 |
| 10.სანდერლენ. | 26 | 9 | 6 | 11 | 34:30 | 33 |
